სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 15 ნოემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, მეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც წიწერ-მიწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში ბინადრად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 247 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 247

ღრმად მწუხარებასა შინა მყოფნი, ძმები: ალექსი და სოლომონ გაბრიელის ძე ბოლქვაძეები; დები: მართა და კესა ჭაჩვიშვილისა და ჭანგნელიძისა, შვილებითურთ; რძლები: ნინა (პატკუ) და ტასო ბოლქვაძისა; ძმის წულები: ვენერა და ელეონორა (კუფნა) სოლომონის ასულნი; დამიანე, გერასიმე და გერვონტი ალექსის ძე, ჩიტო იაგორის ასული, ჩილოდია და კარლო იაგორის ძე ბოლქვაძეები; სიძე ვლადიმერ ხოსოს ძე ჭანგნელიძე; ნათლისდედა ელისაბედ დიმიტრი ქოხიას ასული სალუქვაძისა; ლაზიონ ალექსანდრეს ასული სალუქვაძისა შვილებითურთ; ნესტორ და მელიტონ გეგოს ძე სალუქვაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესის და მარად დაუვიწყარის უეცრათ გარდაცვალებულის

იაკინთე გაბრიელის ძის ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია შაბათს, 16 ნოემბერს (ახ. სტ.), სოფელ მიქელ-გაბრიელში, მიქელ-გაბრიელ-მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე (გურია).

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მარიამ გიტოს ასული დოლიძისა, შვილები: ქეთია, ვარლამ, ვენერა და შურა იესეს ძე დოლიძეები. ძმა ზაქარია დოლიძე და დაი მატატი ბიჭიკის ასული შარაშიძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშაბათს, 19 ნოემბერს (ახ. სტ.), დილის 10 საათზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ორმოცი დღის შესრულების თავზე მათი ძვირფასი

მღ. იესე დოლიძის

სულის მოსახსენებლად, ასკანის საზოგადოებაში სოფ. გვიბრათში მაცხოვრის ეკლესიაზე, რადგან დაკრძალვის დღეს მეუღლის ავადმყოფობის გამო არ გამართულა ტირილი, უკანასკნელი გამართული იქნება იმავე დღეს.

უზომოდ დამწუხრებულნი მშობლები: მარიამ დიმიტრის ასული, ერმილე დავითის ძე, ძმები: სვიმონ, ზაქარია და ილიკო, დაი თინათინ, სიძე პრაკოფი და დისწული ჯაბო დოლიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 ნოემბერს, ახალი სტილით, ქ. ხაშურში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

მიხაკო (ხაკო) შარაშიძის

სულის მოსახსენებლად.

მღვდელი პორფირე ივანეს ძე კანდელაკი, ალექსანდრა ივანე აბაშიძის ასული კანდელაკისა, ნიკოლოზ, ალექსანდრე, სერგო, დათიკო და ნინო კანდელაკები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ კვირას, 17 ნოემბერს (ახ. სტ.) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდი დაუვიწყარის პირველი ორის შვილის, დანარჩენთა ძმის

ვალიკოს (იგივე ივანეს)

სულის მოსახსენებლად სამტრედიის მაცხოვრის ეკლესიაში. პანაშვიდი დღის 12 საათზე.

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, გიორგობისთვის 18-ს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი

სეზონის გასახსნელად

წარმოადგენს ბრიეს 5 მოქმ. მუსიკალურ დრამას.

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა

(პიესა რამდენჯერმე განმეორდება სხვადასხვა ანსამბლით).

რეჟისორი—გ. ჯაბადარი. ადმინისტრატორი მ. ხერხეულიძე.

დიდი რაჭული კონცერტ-ზეიმი.

ამ ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრის დარბაზში რაჭა-ლეჩხუმში მოქმედ სახალხო გვარდიის სასარგებლოთ გაიმართება **დიდი რაჭული კონცერტ-ზეიმი.** იმღერებს სახალხო გვარდიელთა რაზმი და თფილისში არსებული რაჭული ხორო. აგრეთვე აჩვენებენ პროექტორით რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის სურათებს. შემდეგ წარმოითქმება სიტყვები, ლექსები და გაიმართება ქალ-ვაჟთა ცეკვა თამაში სტვირ დაირაზე და სიმღერა ტაშის დაკვრაზე.

გამგე ევგენი დგალი.

სახალხო სახლში

შაბათს, 16 ნოემბერს, სახალხო სახლში დანიშნულია თფ. მუშათა დეპ.

ს ა ბ ჭ ო ს ს ხ დ ო მ ა.

დღის წესრიგი: რევოლიუცია გერმანიაში. მომხსენებლებად გამოვლენ: ამხ. ნ. ნ. ჟორდანია, ი. გ. წერეთელი და ს. ნ. ჩხეიძე.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია

ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების მერვე ყრილობამ თითქმის ერთხმათ დაადგინა: ვინაიდან ამიერ-კავკასია უკვე დაყოფილია სამს რესპუბლიკათ,—მოხდეს პარტიის რეორგანიზაცია და დაარსდეს სამი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ჯერ-ჯერობით ეს ყრილობა განაგრძობს მუშაობას როგორც ამიერ-კავკასიის ყრილობა, ხოლო დღიური წესრიგის განხილვის შემდეგ, საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციების წარმომადგენლები ცალკე შეიკრიბებიან და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელი კრება მიიღებს თავის გადაწყვეტილებას მერვე ყრილობის მიერ გამოტანილ რეზოლიუციების შესახებ.

ამ ნაირათ, პარტიულმა ყრილობამ უკვე სთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა და სამი რესპუბლიკის საზღვრებში ცალკე პარტიების დაარსება პრინციპიალურათ საჭიროთ აღიარა. ჩვენ არ ვიცით, როდის შესძლებენ სომხეთის რესპუბლიკის და ადერბეიჯანის სოციალ-დემოკრატები პარტიულ ორგანიზაციების აღდგენას და ცალკე პარტიის დაარსებას. რაც შეეხება საქართველოს—აქ პარტიის დაარსება სულ რაღაც ორი-სამი დღის საქმეა: მერვე ყრილობის დასრულების შემდეგ, ჩვენი რესპუბლიკის ორგანიზაციების დელეგატები შეიკრიბებიან და უკვე მომხდარ ფაქტს შესაფერ ფორმალურ გამოხატულებასაც მისცემენ.

როგორ ვუყურებთ ჩვენ ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს?

სამწუხაროთ, ზოგიერთებს ეს საკითხი გრძნობების სფეროში გადააქვთ. ისინი სამართლიანათ აღნიშნავენ იმ დროს, როცა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია ერთს მთელს წარმოადგენდა, როცა შედარებით უფრო ძლიერი ორგანიზაციები საქართველოსი დიდს იდეიურ და მორალურ დახმარებას უწევდა ჩამორჩენილ მეზობლებს და სოლიდარობის განმტკიცებას ხელს უწყობდა. დასკვნა, რომელსაც ეს ამხანაგები აკეთებენ, ასეთია: ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია კვლავაც უნდა დარჩეს ორგანიზაციულათ განუყოფელი და ძველი მოღვაწეობა განაგრძოს ამიერ-კავკასიის საზღვრებში.

ასე საკითხის გადაჭრა ყოვლად შეუძლებელია.

სოციალ-დემოკრატიული პარტია შეგნებულ პროლეტარიატის შეწყობით ხელმძღვანელობას უწევს მთელს დემოკრატიას, ის იძულებულია პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული საქმე აკეთოს. ამიტომ, სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია დროის და ადგილის გარეშე იდგეს, ის მოქმედებს განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში. ასეთია კაპიტალისტურ წარმოების ხანაში სახელმწიფო. და როგორც ვიცით ჯერ-ჯერობით ქვეყნად არ არსებობს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ორგანიზაციულად აერთიებდეს რამდენიმე სახელმწიფოს პროლეტარიატს. ერთი სახელმწიფო—ერთი სოციალ-დემოკრატია—ასეთია სინამდვილე. რასაკვირველია, მხოლოდ ლენინს მოუვიდა ჭკუაში გადალახა ყოველგვარი საზღვრები; ის მიმართავდა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო ამან რუსეთისათვის, ეს ჩვენ ვიცით. რაც შეეხება ევროპას, აქ დღეს რევოლიუცია ხდება, მაგრამ სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოს საზღვრებს არ გაშორებია. და ასე იქცევა არა მარტო პარტიის ოპორტუნისტული ნაწილი, არამედ მისი უკიდურესი ფრთა.

მერვე ყრილობამ ეს მოსაზრებები თითქმის ერთხმად მიიღო. მხოლოდ სამი თუ ოთხი დელეგატი იყო ამის წინააღმდეგი და რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა და გაუგებარია, ამ სამმა-ოთხმა დელეგატმა ნაციონალისტობაში დასდო ბრალი თავის მოწინააღმდეგეთ.

ამ ბრალდების შეუსაბამობა ნათლათ სჩანს ყრილობის ერთხმულოვან გადაწყვეტილებაში, რომ დაარსდეს სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოსი და არა ქართველებისა. საქართველოში კი მრავალი ერი ცხოვრობს: ქართველი, სომეხი, თათარი, ოსი, რუსი, ბერძენი და სხვა—ყველა ესენი, ყრილობის დადგენილებით, ერთს პარტიას უნდა შეადგენდნენ. ჩვენ არ ვიცით, განხორციელდება თუ არა ყრილობის ეს სურვილი, შეიძლება ის დაირღვეს, მაგრამ ჩვენი ფიქრით, ქართველების მხრით, ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარებას არავითარი ხიფათი არ მოელის. ამას ამტკიცებს მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობა, როცა ჩვენს პარტიაში ყველა ერის წარმომადგენელი პოულობდენ თავისუფალ ასპარეზს, თუმცა ფაქტიურათ ქართველობა შეადგენდა პარტიის დიდს, ძალიან დიდს ნაწილს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სამი პარტიის დაარსება გამოიწვევს პარტიულ მუშაობის გაძლიერებას სომხეთში და ადერბეიჯანში და დაშნაკცუთიუნის და მუსავატის ალაგს დაიჭერენ სომხეთის და ადერბეიჯანის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიები. ჩვენ ამ თავიდანვე უნდა აღმოუჩინოთ საჭირო დახმარება ჩვენს შედარებით უფრო სუსტს ამხანაგებს, ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ეს ამხანაგები, რომელნიც დღეს [illegible], თითქმის ჩამოსათვლელნი არიან, გამაგრდნენ და იდეიურად და ორგანიზაციულათ დაუკავშირდნენ თავის ერის დემოკრატიას.

ორგანიზაციულათ გაძლიერება შიგნით, საქართველოს ტერიტორიაზე, და იდეიურ მორალური დახმარების აღმოჩენა სომხეთ-ადერბეიჯანის ამხანაგებისათვის. ასეთია ის პერსპექტივები, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დაარსებასთან არის დაკავშირებული.

დროებითი ზავი.

ოთხ წელიწად ნახევრის სისხლის ღვრა შეჩერებულია. დროებითი ზავის პირობები 10 ნოემბერს მიიღეს—სრული საბუთი გვაქვს მოველოდეთ, რომ ომი სახელმწიფოთა შორის უნდა გათავდეს. რანაირი იქნება მომავალი ზავი? ამის გამოსარკვევად ჩვენ ხელთ გვაქვს ორი დოკუმენტი: ერთი დეკლარაციული, პრინციპიალური ხასიათისა, ვილსონის მიერ შემუშავებული პროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ომის დასრულების შემდეგ სახელმწიფოთა ურთიერთობა. მეორე დოკუმენტი უფრო პრაქტიკულ ხასიათისაა: ეს არის პარიზში ხელმოწერილი დროებითი ზავის პირობები. პირველი დოკუმენტი იმის მაჩვენებელია, თუ როგორი ზავი სჭირიან კაცობრიობას; მეორე კი იმის, თუ როგორი ზავი სწადიან გამარჯვებულ იმპერიალიზმს, შეეძლება თუ არა იგი, მისცეს კაცობრიობას ჭეშმარიტი და მტკიცე მშვიდობიანობა. ის პრინციპები, რომლებიც ვილსონის პროგრამაშია აღიარებული, დემოკრატიულ კაცობრიობისათვის მისაღებელი და სასურველია, თუ კი მეომარი მხარეები მათ გულწრფელათ მიიღებენ და მათს განხორციელებას გულწრფელად შეუდგებიან. მაგრამ პარიზში შემუშავებული დროებითი ზავის პირობები გვიმტკიცებენ, რომ გამარჯვებულ იმპერიალიზმს არ შეუძლიან ვილსონის პროგრამის პრინციპების ცხოვრებაში გატარება.

პარიზის დროებითი ზავი შეიცავს ისეთს პირობებს, რომლებიც არაფრით არ გვაგონებს ვილსონის პროგრამის პრინციპებს. ეს დროებითი ზავი წარმოადგენს გერმანიის სრულს კაპიტულიაციას. გერმანიამ უნდა ორი კვირის განმავლობაში გაიყვანოს ჯარი რეინის მარჯვენა ნაპირას და დასცალოს 30 კილომეტრის მანძილი რეინის მარჯვნივ; მან უნდა დასცალოს ყველა დაპყრობილი ქვეყნები; მან უნდა გადასცეს ინგლის-საფრანგეთს [illegible] რკინის გზის მასალა, ფლოტი, სამხედრო მასალა. მათვე უნდა გადასცეს ყველა ცხენსამგზავრები რკინის გზაზე და გერმანიამ უნდა შეუშვას ინგლისის ფლოტი სკაგერაკის ყურეში. თვით გამარჯვებულ მოკავშირეებს პარიზის დროებითი ზავი არავითარ პირობებს არ უდებს.

ვიმეორებთ, ეს ფეხქვეშ გათელვაა ვილსონის პროგრამისა. ვილსონის პროგრამის მეორე მუხლი მოითხოვს „ზღვათა თავისუფლებას"; პარიზის დროებითი ზავის ძალით კი ინგლისი ფლოტის სკაგერაკში შეყვანით კრიჭაში უდგება და სულს უხუთავს გერმანიას.

საზავო პროგრამის მე-4 მუხლი მოითხოვს, ვილსონის „საყოველთაო შეიარაღების შემცირებას იმდენათ, რამდენათაც ეს მხოლოდ შინაური მშვიდობიანობისთვის იქნება საჭირო". პარიზის დროებითი ზავი კი მხოლოდ გერმანიას ართმევს თავდასაცველ და თავდასასხმელ საშუალებებს და ინგლის-საფრანგეთს კი არა თუ უტოვებს, არამედ კიდევაც უძლიერებს ამ საშუალებებს. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ვერ უზრუნველყოფს სანატრელ მშვიდობიანობას და ვერ განამტკიცებს ვილსონის პროგრამის პრინციპებს, ვერ „მოსპობს ყოველსავე თვითნებობას და ძალმომრეობას", როგორც ამას ვილსონის პროგრამა მოითხოვს, ეს ხელს ვერ შეუწყობს იმას, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხები „ხალხთა ინტერესების მიხედვით წყდებოდეს"; ერთი სიტყვით, პარიზის დროებითი ზავი სრულებითაც ხელს არ შეუწყობს სახელმწიფოთა შორის იმნაირ ურთიერთობის დამყარებას, როდესაც კაცობრიობა „იხელმძღვანელებს ყველასათვის მაღლად ზნეობრივ კანონით, რომელიც შეეფერება ცივილიზაციურ ქვეყანას", როგორც ამას მოითხოვს ვილსონის პროგრამა და როგორც ეს 50 წლის წინ მოითხოვა მარქსის მიერ შედგენილმა „ინტერნაციონალის" პირველმა მოწოდებამ.

გერმანიის ახალი რევოლიუციონური მთავრობა, რომლის პირველი ლოზუნგია—ზავის ჩამოგდება, რა ფასათაც უნდა დაუჯდეს ეს მას, იძულებულია ხელი მოაწეროს პარიზის დროებითი ზავის პირობებს. მაგრამ იგი ამასთან ერთად მიმართავს ვილსონს წერილით, რომელშიაც პირდაპირ აღიარებს, რომ ეს დროებითი ზავი „იძულებითაა", რომ იგი მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებას ვერ შესძლებს,—ებერტის მთავრობა მოაგონებს პრეზიდენტს მის მიერ გამოცხადებულ პროგრამის პრინციპებს, „რომლებიც გულისხმობენ ყველა საკითხების სამართლიანად გადაჭრას და სთხოვს ვილსონს, ხელი შეუწყოს ამ აუტანელ საზავო პირობების გადასინჯვას.

ბურჟუაზიულ საზოგადოებას ბევრი იმისთანა ჰუმანური პრინციპი შეუმუშავებია, რაც დემოკრატიისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე გაბატონებულ კლასებისათვის. მაგრამ ამ ჰუმანიურ პრინციპების ცხოვრებაში გატარება კი მას ვერ უკისრია. ვილსონის პროგრამაც ჰუმანიურ პრინციპის აღიარებას წარმოადგენს, მაგრამ ამ პრინციპების განხორციელებას მხოლოდ დემოკრატია იდებს თავს. გერმანიის რევოლიუციონურ მთავრობის მიმართვას ვილსონისადმი შეიძლება ყური არ ათხოვონ გამარჯვებულმა იმპერიალისტურმა მთავრობებმა, მაგრამ მათს განხორციელებას ხელს შეუწყობს თვით ინგლის-საფრანგეთის დემოკრატია.

მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

12 ნოემბრის სხდომა.

(დასასრული).

ან. ანჯაფარიძე აკეთებს მოხსენებას საკანტროლო კომისიის სახელით და ამბობს, რომ საოლქო კომიტეტის მუშაობა უნდა გაიყოს რამდენიმე დარგათ და უნდა აღინიშნოს, თუ რა გააკეთა საოლქო კომიტეტმა ორგანიზაციათა მოწყობა აშენებაში, აგიტაცია პროპაგანდის საქმეში, პოლიტიკურ დარგში, პრესა რა მდგომარეობაში იყო და შემდეგ ფინანსიური მხარე უნდა განვიხილოთ. საკანტროლო კომისიამ განიხილა ყველა ქაღალდები და დაინახა, რომ საოლქო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა ორგანიზაციის აწყობა აშენების საქმეში, აგზავნიდა საუკეთესო ხელმძღვანელ ამხანაგებს პროვინციებში და ორგანიზაციებს აწყობდა, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები საოლქო კომიტეტს ჯეროვან ანგარიშს არ უწევდენ. არ გზავნიდენ საწევრო გადასახადებს და აგრეთვე თავის დროზე მოხსენებებს ადგილობრივი საქმეების შესახებ არ უკეთებდენ. საოლქო კომიტეტთან წინა კონფერენციის დადგენილების თანახმად უნდა დაარსებულიყო მუდმივი ლექტორთა ჯგუფი, ეს არ ყოფილა, თუმცა ლექტორები იგზავნებოდენ პროვინციებში, მაგრამ მუდმივად ისინი არ ყოფილან. შემდეგში კომისიის აზრით საჭიროა ასეთი მუდმივი ლექტორების ჯგუფი იყოს საოლქო კომიტეტთან. პრესა კარგ ნიადაგზეა დაყენებული.—იქ დროზე შუქდება ყველა საჭირ-ბოროტო საკითხები და ხელმძღვანელობას უწევს მუშათა კლასს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საოლქო კომიტეტს მეტის მეტ მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან დაკისრებული როლი პირნათლად შეასრულა. პოლიტიკური ხაზის შესახებ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს ცხადია ყველასათვის.

დ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს აუცილებლობას წრეების მოწყობისა და მარქსისტულად მომზადებისა პროპაგანდისტებისა და პარტიის წევრებისა.

ბერიტაშვილი ამბობს, რომ საოლქო კომიტეტი ხშირად ანგარიშს არ უწევდა ადგილობრივ ორგანიზაციებს და უმთავრეს საკითხებს თვითონ სწყვეტდა ადგილობრივ ორგანიზაციების დაუკითხავად. ეს მაშინ, როდესაც საშუალება ჰქონდა კომიტეტს ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად გადაეწყვიტა. ის აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენი ამხანაგები მთავრობაში და პარლამენტში მუშაობენ და პარტიული მუშაობა მივიწყებულია.

კოპალიტაძე აღნიშნავს, რომ გურიის კომიტეტმა ყველა ის უმთავრესი ნაბიჯები, რომელიც საოლქო კომიტეტმა გადასდგა იცოდა და რატომ არ იცოდა ეს ადგილობრივ თფილისის ორგანიზაციებმა. [illegible] მოხსენებას წინააღმდეგი არავის არ უთქვამს.

ს. თევზაძე ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მთავრობას პარტიად [illegible]. არც ერთი მთავარი კითხვები თფილისის ორგანიზაციის მონაწილეობის მიუღებლად არ გადაწყვეტილა.

ალ. ჩიქავა მოითხოვს, რომ საოლქო კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობა უნდა ჩავთვალოთ ძალიანად, სხვა მხარეებს, რომლებიც მოკლებული იყო საერთო ობიექტიური პირობების გამო, მიექცეს მეტი ყურადღება. კამათი შეწყდა.

ნ. ჟორდანია. არც ერთი საკითხი ადგილობრივი ორგანიზაციების დაუკითხავად არ გადაწყვეტილა. ერთმა ამხანაგმა დამისვა წერილობითი კითხვა: რუსეთში არ სწამთ რომ ჩვენში ოსმალთა საფრთხე იყო და ეს უნდა დავუმტკიცოთო. ისინი, ამხანაგები, იგონებენ ასეთ ამბებს, რომ თავზე მოგვახვიონ თავისი გამართლებელი კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკა (ტაში). ჩვენისთვის ეს ცხადია, რომ გერმანიის მფარველობა არ გვეწვია, ოსმალეთი მთელს საქართველოს აიღებდა.

რეზოლიუცია ყრილობას არ მიუღია, რადგან არ იყო გამორკვეული რომელ სახელით: ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიული პარტიის, თუ საქართველოს პარტიის სახელით გამოეტანათ რეზოლიუცია.

13 ნოემბრის, დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

გამოსარკვევია საკითხი პარტიის სახელწოდების შესახებ.

გ. ურატაძე ამბობს, რომ ის პოლიტიკური ცვლილება, რომელიც მოხდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ამტკიცებს, რომ ერთგვარი ცვლილება უნდა მოხდეს ჩვენს პარტიულ ცხოვრებაშიც, პარტიულ წყობაშიც. ფორმა ორგანიზაციისა აუცილებლად უნდა შეიცვალოს. შეუძლებელია სამ რესპუბლიკაში (სომხეთის, საქართველოს და ადერბეიჯანის) იყოს ერთი პარტია. თვითეულ რესპუბლიკაში თითო პარტია უნდა არსებობდეს—ეს მომხდარ ცვლილებათა ლოღიკური დასკვნა იქნება. რასაკვირველია, კავშირი ამ პარტიათა შორის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ის უნდა იქნას. ასე რომ, კავშირი იმ რიგათ, რანაირადაც ეს ჩვენ გვესმოდა დღესაც გვესმის. მოწვეულ იყო ფორმალურად ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მაგრამ ფაქტიურად საქართველოს ორგანიზაციათა წარმომადგენლები გამოცხადდენ. ჩემი წინადადებაა: სიეზდმა განაგრძოს მუშაობა ამიერ-კავკასიის სიეზდის სახით, ხოლო ბოლოს გახსნილ იქნას საქართველოს ყრილობა, რომ შემდეგისათვის არჩეულ იქნას ხელმძღვანელი ორგანო. ამას მოითხოვს მიზანშეწონილება, ნორმალური მოსაზრება და თვით მომენტიც.

ელბაქიანი მოითხოვს, რომ ამ საკითხს უნდა შევხედოთ არა ფორმალური მოსაზრებით, არამედ—სარგებლიანობის პრინციპის მიხედვით. ჩემის აზრით უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება თუ ამიერ-კავკასიაში იქნება მხოლოდ ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია. მით უმეტეს ამიერ-კავკასიის დაყოფა მოხდა გარეშე ობიექტიური პირობების გამო. ის უმთავრესად გამოიწვია ოსმალეთის დანამ, რომელიც მიბჯენილ გვქონდა გულზე. დღეს მდგომარეობა ძალიანად შეიცვალა. აღარ არსებობს ოსმალეთის საფრთხე, რომელმაც ამიერ-კავკასია დააქუცმაცა. ეს რესპუბლიკები, ფედერაციის სახით იქნება თუ კონფედერაციის, აუცილებლათ უნდა შეერთდნენ, რადგანაც ეკონომიურად მჭიდროთ არიან გადაბმული ერთმანეთზე და ერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ. ეს მით უფრო აუცილებელია დღეს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატმა მოძრაობა დაიწყო, ყველა საზღვრები და ერთმანეთისაგან გამთიშველი კედლები ინგრევა და ჩვენც უნდა შევეცადოთ ჩვენს პარტიას არ აღემართოს ასეთი კედელი სამ რესპუბლიკათა შორის, რომელნიც ამ ახლო მომავალში უნდა შეერთდნენ. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ერთგვარი ნაციონალიზმმა იჩინა თავი ქართველ სოციალდემოკრატებში. თუ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოეყო ამიერ-კავკასიის პარტიას, მაშინ ჩვენ სომხები და მუსულმანები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებნი ამ პარტიაში არ შევლენ, ამაზე უკვე გვქონდა მოლაპარაკება და გადაწყვეტილება ჩვენი ასეთია.

მ. ხოჭოლავა: ამხ. ელბაქიანი იმიტომ ფიქრობს ასე, რომ მას ალაპარაკებს არა გონება, არამედ გრძნობა და საბუთებიც გრძნობიერების საფუძველზე აშენებული. ელბაქიანი სდგას კოსმოპოლიტურ ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე, რომელიც ძალიან ინტერნაციონალურია ფორმით როგორც უგვარო და შეუფერებელი. ნაციონალიზმი სრულებით არ არის ის, თუ ერთ სახელმწიფოში ერთი პარტია იარსებებს. ამას

არ უარყოფს არც მეორე ინტერნაციონალი. ამით არაფერს არ დაკარგავს არც სოციალ დემოკრატიული პარტია. ამხანაგი ტყუილათ ფიქრობს, რომ ეს სამი რესპუბლიკა ეკონომიურათ ერთმანეთზე გადაბმულნი არიან და ამიტომ პარტიაც ერთი უნდა იყოსო. შეიძლება გერმანია, ავსტრია და სხვა სახელმწიფოები არა ნაკლებ იყვნენ ეკონომიურათ ერთმანეთთან გადაბმულნი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იქ თითო სახელმწიფოში ცალკე სოციალ დემოკრატიული პარტიები არსებობენ. აქაც ასე უნდა მოეწყოს. ამიტომ მე მოვითხოვ, რომ მიღებულ იქნას ამხ. ჟორდანიას წინადადება და გახსნილ იქნას ამ ყრილობის დასრულების შემდეგ საქართველოს ორგანიზაციათა წარმომადგენლების ყრილობა, შემდეგ კი საქართველოს სოც.-დემ. პარტია აუცილებლათ ერთგვარ კავშირს შეკრავს მეზობელ პარტიებთან და თვითონაც შევა ინტერნაციონალის საერთო ოჯახში.

კოპლატაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას ნაციონალისტური მიდრეკილება არასოდეს არ გამოუჩენია, მე მოვითხოვ რომ ეს ყრილობა დარჩეს ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა ყრილობათ, შემდეგში კი საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდეს საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტია.

ფირუმოვი. დღეს წამოყენებულია ორგანიზაციული პრინციპის შესახებ საკითხი. რუსეთის ერთ ერთ პარტიულ კონგრესზე დაისვა ორგანიზაციის საკითხი. წამოყენებული იყო ორი პრინციპი: ტერიტორიალური და ეროვნული. ეროვნული პრინციპის მომხრე იყო ლიბერი, ბუნდის წარმომადგენელი. ხიუზლმა უარყო ლიბერის წინადადება. აქ მოითხოვენ ეროვნულ პრინციპის მიღებას (ადგილიდან: მართალი არ არის, ჩვენ მოვითხოვთ ტერიტორიალურ პრინციპს—საქართველოს ტერიტორიას), თუ ტერიტორიალურია პრინციპი არის მიღებული, მაშინ ტერიტორიად უნდა აღიარებულ იქნას ამიერ კავკასიის ტერიტორია და მოეწყოს ერთი პარტიული ორგანიზაცია.

ზ. გურული ამბობს, რომ საერთაშორისო მოძრაობა ჩვენ ხელს არ გვიშლის იმაში, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცალკე სოციალ-დემოკრატიული პარტია დავაარსოთ. ის მიზეზი, რომელმაც გაითიშა ამიერ-კავკასია, მარტო ოსმალეთის მილიტარიზმი არ იყო, როგორც ეს ჰგონია ამხ. ელიაქაძეს, ოსმალეთის მილიტარიზმი მიზანს ვერ მიაღწევდა, შიგნით დაშნაკელებს და მუსავატელებს რომ მათთვის ნიადაგი არ მოემზადებინათ. ამ მხრით შეიცვალა რამე? არაფერი არ შეცვლილა. დაშნაკელები და მუსავატელები თავის პოზიციებზე დგანან. ფირუმოვი ტყუილად ცდილობდა, დაემტკიცებინა ჩვენი ნაციონალისტობა იმით, რომ ვითომ ჩვენ სიტყვებზე ქართულ ენაზე ვლაპარაკობთ. ჩვენს სიტყვებზე სულ ასე იყო: ვლაპარაკობდით ქართულად, რუსულად და სომხურად. ელიაქაძის სიტყვებში მართლაც გაისმოდა ნაციონალური „უდარი“. ის ამბობდა, რომ თუ საქართ. სოც.-დემ. პარტია დაარსდა, აქ ჩვენ თანხმობა წინასწარი მოლაპარაკებისა მუსულმანებთან, არ შევძლებთ. ახლა მე თქვენ გეკითხებით: არის თუ არა ეს ნაციონალისტობა? არის ერთი მოსაზრებაც, რომელიც ცალკე სახელმწიფოში ცალკე პარტიის დაარსების საჭიროებას ლაპარაკობს. ყოველგვარ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს პოლიტიკური პარტია, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს ამა თუ იმ ფრაქციის პარლამენტში და ფრაქციაც სწორედ იმ პარტიის წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომელმაც ის პარლამენტში ან მთავრობაში გაგზავნა.

წინადადება შემოდის კამათის შეწყვეტის შესახებ. ჩაწერილია 32 ორატორი. მიღებულ იქნა წინადადება, რომ სამს მოწინააღმდეგეს მიეცეს სიტყვა და სამს მომხრეს. სხდომა ათი წუთით შეწყდა. სხდომის განახლების შემდეგ გამოირკვა რომ უკანასკნელ წინადადების გარშემო შეთანხმდნენ და ორატორები დაასახელეს. ილაპარაკა სამმა მომხრემ საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის დაარსების და სამმა ამიერ კავკასიის ფარგლებში ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დარჩენისა. კამათი შემდეგ შეწყდა და ყრილობამ 75 ხმით 5 წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა, მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ყრილობა განაგრძობს მუშაობას, როგორც მეორე ყრილობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებისა. ყრილობა აღიარებს, რომ რადგან ამიერ-კავკასია სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაიყო, ამიტომ უნდა დაარსდეს ცალკე სოციალ დემოკრატიული პარტიები ყველა ამ რესპუბლიკებში. ამასთანავე ყრილობა სურვილებს გამოსთქვამს, რომ საჭიროა ზემოხსენებული პარტიები შეერთდნენ ამა თუ იმ ფორმით, რათა გაძლიერებულ იქნას ამიერ-კავკასიის დემოკრატიის გავლენა სახელმწიფოებრივ ღონისძიებებზე.

ამიერ-კავკასიის ყრილობის დახურვის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები ხსნიან საქართველოს სოც.-დემ. პარტიის დამფუძნებელ ყრილობას, ცენტრალურ ხელმძღვანელ დაწესებულებათა ასარჩევად და ამიერ-კავკასიის ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებისადმი თავის დამოკიდებულების გამოსარკვევად“.

ა. ხ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

14 ნოემბერი

დროებითი ზავის პირობები.

(ინგლისური პრესა. 12 ნოემბერი). ლოიდ ჯორჯმა პალატაში გამოაქვეყნა დროებითი ზავის პირობები. ეს პირობები 3 ნაწილათ იყოფა: დასავლეთის ფრონტის, აღმოსავლეთის ფრონტის და საზღვაო. დასავლეთის ფრონტის პირობები ასეთია: გერმანელებმა დაუყოვნებლივ უნდა დასცალონ დაპყრობილი ქვეყნები: ბელგია, საფრანგეთი, ელზას ლოტარინგია და ლუქსენბურგი; დაპყრობილ ქვეყნებიდან ძალით გაყვანილი მცხოვრებნი უკანვე უნდა დააბრუნონ: მოკავშირეებს უნდა ჩააბარონ 5 000 ზარბაზანი, 30,000 ტყვიის მფრქვეველი, 3 000 ნაღმის მტყორცნელი და 2,000 ჰაეროპლანი; გერმანიის არმიამ უნდა დასცალოს მდ. რეინის მარცხნივ მდებარე ადგილები: დაცლილი ადგილები შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარმა უნდა დაიჭიროს; მანვე უნდა დაიჭიროს რეინზე გადასასვლელი ადგილები, სახელდობრ: მაინცთან, კობლენცთან და კოლონთან... (გაუგებარია) თითო ხიდი... (გაუგებარია) ერთ ადგილას, რომლის რადიუსი უდრის 30 კილომეტრს და ამ ადგილებში მყოფ გარნიზონების მიერ. ხუთი ათასი ორთქმავალი, ასორმოცდა ათი ათასი ვაგონი, 5,000 ავტომობილი მოკავშირეთა სახელმწიფოებს უნდა გადაეცეს. დაჭერილ ადგილებში, საოკუპაციო ჯარის დაკმაყოფილება და ხარჯი, ელზას-ლორენის გარდა, გერმანიის მთავრობამ უნდა იკისროს; ყველა სამხედრო ტყვეები დაუყონებლივ სამშობლოში დაბრუნდება; აღმოსავლეთის ფრონტის პირობები შემდეგია: გერმანიის ჯარმა უნდა დასტოვოს რუსეთის, რუმინიის და ოსმალეთის ტერიტორია და ომამდე არსებულ საზღვარს იქით უნდა გადავიდეს; ბრესტლიტოვსკის, ბუქარესტის და სხვა ხელშეკრულებათა სრული გაუქმება. საზღვაო პირობები შემდეგია: გერმანიამ უნდა აცნობოს მოკავშირეთ, თუ სად სდგას მისი გემები და ჩააბაროს წყალქვეშა ნავები. 16 სამხედრო გემი, 8 კრეისერი და 50 გამანადგურებელი გემი უნდა დარჩეს ნეიტრალურ ნავთსადგურებში, ან და მოკავშირეთა მიერ აღნიშნულ ნავთსადგურებში; ყველა დანარჩენ სამხედრო გემმა სავსებით უნდა აიყაროს იარაღი გერმანიის ნავთსადგურებში და მოკავშირეთა მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს; თავისუფალი მიმოსვლა ბალტიის ზღვაზე. ამ პირობათა უზრუნველსაყოფათ მოკავშირე სახელმწიფოთ შეუძლიათ დაიჭირონ .. (დამახინჯებულია), შავი ზღვის ნავთსადგურების ევაკუაცია და სავაჭრო გემების დაბრუნება.

გერმანიის ჯარის ცნობები.

ვარშავის და მის მიდამოებში მდგარ გერმანიის ჯარში, რომელთაც ერთმანეთთან კავშირი აქვთ, 11 ნოემბერს შესდგა ჯარისკაცთა საბჭოები, რომელიც საღამოს 6 საათზე მთავრობის შენობაში შეიკრიბა. ამ დროს სხდომაზე მოვიდა პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წევრი პოლკოვნიკი, რომელმაც განაცხადა, რომ სარეგენტო საბჭო გერმანიის ჯარის ყოველგვარ საფრთხისგან გარანტიას მისცემს, თუ შეასრულებენ ზოგიერთ პირობებს (იარაღის გადმოცემა). სხდომაზე მხურვალე ოპოზიციამ იჩინა თავი, რომელიც იმ აზრის იყო, რომ პოლონეთის პოლიტიკურ მთავრობასთან ჯარისკაცთა საბჭო არავითარი მოლაპარაკება არ გამართოს ამ საკითხზე. სარეგენტო საბჭოს წარმომადგენელმა პასუხი მიიღო, რომ ჯარისკაცთა და მუშათა საბჭო სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს ყოველ პოლიტიკურ ტენდენციებისადმი და ეცდება რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს სამშობლოში, და მასთან ერთად გაფანტულ პოლონეთში და უკრაინაში მყოფ ჯარის დაბრუნება უზრუნველჰყოს მთელი კრება ერთხმათ წინააღმდეგია იარაღის გადაცემის წინადადებას; მასთან ერთად აღნიშნეს, რომ შეკავშირებული გერმანიის ჯარი საგრძნობ ძალას წარმოადგენს, ასე რომ, ჯარს არავითარი შიში არა აქვს. მუშათა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი: 1) სამხედრო ტყვეები რჩებიან თავიანთ ადგილზე და მუშაობას განაგრძობენ, 2) სამხედრო ტყვეები 11 ნოემბრიდან მიიღებენ სამუშაო ქირას, ისე როგორც გერმანიის მუშები, 3) ტყვეები ვალდებული არიან იმუშაონ ისე, როგორც მუშაობდნენ წარსულში. ვინც მუშაობაზე უარს განაცხადებს, არ ექნება უფლება სურსათი მიითხოვოს. 4) სამუშაოს მომცემნი ვალდებული არიან პირნათლათ აასრულონ კონტრაქტები. 5) შეიარაღებული ზედამხედველებმა ძველი წესით უნდა დაიცვან წესიერება სამხედრო ტყვეებს შორის, 6) მუშაობის შემდეგ სამხედრო ტყვეები თავიანთ ბინაზე უნდა იყვნენ.

გერმანიის სხვადასხვა ნაწილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად რკინის გზებზე მოძრაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში სდგება. დიდი ქალაქებისთვის სურსათის მიწოდება არ შეფერხებულა.

ნეიტრალურ სახელმწიფოებიდან მიღებულ ცნობებით, იტალიის მცხოვრებლებსა და ჯარში რევოლიუციონურმა მოძრაობამ იჩინა თავი. „ციურიხერ მორგენ ცაიტუნგ“-ს აუწყებენ ინსბრუკიდან, რომ იტალიის ჯარში დეზერტირობა გაძლიერდა. იტალიის ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ზავი უკვე ჩამოვარდა და ამიტომ შეუძლიათ შინ დაბრუნდნენ, როგორც ამას ავსტრიელები სჩადიან. იტალიის მესამე არმიაში ჯარისკაცებმა უარი სთქვეს მორჩილობაზე. დეზერტირობამ განსაკუთრებით თავი იჩინა იტალიის მეექვსე არმიაში.

ოფიციალურ ცნობების თანახმად ყოფილ სტატს სეკრეტარებს და მთავრობის წარმომადგენელთ დაკისრებული აქვთ განაგრძონ მუშაობა. ამავე დროს მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტმა პრუსიის პოლიტიკურ კაბინეტის წევრებათ დანიშნა: თავმჯდომარეთ—პავლე გირში და ჰენრიხ შტრობელი და წევრებათ ევგენი ერნსტი, ოტო ბრაუნი და ადოლფ ჰოფმანი. მე-6 წევრს შემდეგ დანიშნავენ. მიწათ მოქმედების სამინისტროს გამგეთ დაინიშნა ოტო ბრაუნი და ადოლფ ჰოფმანი, შინაგან საქმეთა—პავლე გირში და ემილ ეიხჰორნი. ბერლინის პოლიციის უფროსათ ევგენი ერნსტი. ფინანსთა სამინისტროს დ—რი ალბერტ სუდეკუმი, კულტურის სამინისტროში ადოლფ ჰოფმანი და კონრად ხენიში. სამინისტროს შევსება ახლო მომავალში მოხდება.

წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებისა ვითომც გერმანიის მთავრობა სამხედრო სესხის გაუქმებას აპირებდეს, ოფიციალურათ ცხადდება, რომ ყველა ასეთი ხმები სიცრუეა. გაზეთების ცნობით მეცხრე სამხედრო სესხზე ხელის მოწერა 10 მილიარდს აღემატება.

ბერლინში, გერმანიის სატახტო ქალაქში, გუშინ, 11 ნოემბერს, სიწყნარე იყო; „უნტერ დენ-ლინდენ“-ის და ახლო-მახლო ქუჩებზე დროგამოშვებით ისმოდა სროლა, რომელიც ერთმხრივ ხალხის აღელვების შედეგი იყო და მეორეს მხრივ პროვოკაციულ ხასიათისა. მაღაზიები გაიხსნა და ქუჩებში მოძრაობა ოდნავ განსხვავდება მშვიდობიან დროის მოძრაობისაგან. შუადღისას მოწვიმა, ქუჩებში ხალხი გაჰფანტა და აშკარად დამაწყნარებელი გავლენა იქონია.

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი მთლიანად, განურჩევლათ მიმართულებისა, დამოუკიდებელ სოციალისტებიდან დაწყებული შემარჯვენე ჯგუფებამდე, გრძნობს, რომ დროებითი ზავის პირობები, და შიმშილობის გაძლიერება პოლიტ. მოსაზრებით მიმართულია გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც ეს არის ახლა დაამხო მილიტარისტული მთავრობა და ხალხთა ლიგაში თანამშრომლობაზე და საყოველთაო ზავზე თანხმობა განაცხადა. ეს გრძნობა ერთნაირათაა გაშლილი გერმანიის ყველა ნაწილებში.

ორივე სოციალისტურმა პარტიებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს ბრანტინგს სტოკჰოლმში, სტაუნინგს—კოპენჰაგენში და ტროელსტრას—ჰააგაში: „სოციალისტური პარტია და დამოუკიდებელ სოც. დემოკრატების პარტია ნეიტრალ ქვეყნების სოციალისტურ პარტიების ყურადღებას დაბეჯითებით მიაქცევს დროებითი ზავის პირობების შინაარსს, საიდანაც სჩანს, რომ მოკავშირეებს პოლიტიკურ მოსაზრებით შიმშილობის გაგრძელება და გაძლიერება სწადიათ. თუ ბლოკადა გაგრძელდა, თუ გერმანიის ნავთსადგურის შეზღუდვა ასრულდა, თუ 5000 ლოკომოტივი და 150,000 ვაგონი უნდა გადავცეთ მაშინ, როცა ნახევარი უვარგისია, თუ უცხოეთის საოკუპაციო ჯარს სურსათი გერმანიის მოსავლიდან უნდა მივცეთ,—იმ შემთხვევაში გერმანიის ხალხის სურსათით დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტებს დახმარებას ვთხოვთ დროებითი ზავის მკაცრი პირობების შესაცვლელად, რომელიც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა გვიკარნახეს და რომელიც დიდ ზიანს მიაყენებს გერმანიის სოციალისტურ სახალხო რესპუბლიკის რევოლიუციონურ მასსას. გიძღვნით ძმურ სალამს სოც.-დემ. პარტიის დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის თავმჯდომარეთა მაგიერ: ედუარდ ბერნშტეინი, ოსკარი, კარლ კაუცკი, გერმან მოლკენბიური, გერმან მიულერი, ვილჰელმ პფანკუხი.

ბავარიის რესპუბლიკამ შემდეგი მოწოდებით მიმართა შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს და სთხოვა ეს მოწოდება გაუგზავნოს ვილსონს საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ და გაავრცელოს ის როგორც შვეიცარიის, ისე სხვა სახელმწიფოს მცხოვრებთა შორის: „ამერიკის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობათ და ხალხს, მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, ბავარიის ხალხი პირველი იყო გერმანიაში, რომელიც იმ პირთა მეთაურობით, რომელნიც ომის დაწყებიდანვე ებრძოდა გერმანიის მთავრობას და პრინცთა თვითნებურ პოლიტიკას, რევოლიუციონურ მოძრაობით, რომელიც გამარჯვებით დასრულდა, დაამხო და მოიშორა ყველა და ყველაფერი ის, ვინც ომის დაწყებაში დამნაშავე იყო. ბავარიამ აღიარა თავისი თავი სახალხო სახელმწიფოთ. მთელი ხალხი განუსაზღვრელ სიხარულით შეხვდა განთავისუფლებას, გერმანიის სხვა სახელმწიფოებიც გამოიხმაურა ჩვენს ნაბიჯს და მხოლოდ ამის შემდეგ პირველათ შესდგა ნამდვილათ შინაურულათ შეკავშირებული გერმანია. ამ მომენტში მას, ახალგაზრდა ბავარიას, მეხივით თავს დაეცა მოკავშირე სახელმწიფოთა დროებითი ზავის პირობები. რევოლიუციის გამარჯვებასთან დაკავშირებული ჩვენი იმედები, შეიძლება ამით გაჰქრეს. თუ ეს საშიში პირობები უცვლელი დარჩა, იმ შემთხვევაში ახალი რესპუბლიკა უდაბნოდ და ქაოსად გადაიქცევა. ჩვენ გვესმის მოკავშირეთა გრძნობა, რომელმაც აიძულა ასეთი პირობების წამოყენება, თუ მათ სურდათ ამით დამნაშავეთა დასჯა.

გერმანიის თვითმპყრობელნი და მილიტარისტები შესაბრალისნი არ არიან. მაგრამ ახლა ხალხი განთავისუფლდა და ის პირობები, რომელიც განთავისუფლებულ ხალხს წაუყენეს, მის განადგურებას გულისხმობს. ამ მოთხოვნილებათა ძალაში დატოვება წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. (დასასრული არ მიგვიღია).

ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

სააგენტოსაგან:

ცუდი ამინდების გამო ცნობები უწესრიგოთ მოგვდის. მოსკოვის რადიო სადგურიდან, გამოურკვეველ მიზეზების გამო, ცნობა არ მოგვსვლია.

ახალი ამბები

ნავთი და ბენზინი. გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი, რომელიც ამ ჟამათ ბაქოში იმყოფება, გზათა მინისტრს პირდაპირი მავთულით ატყობინებს: ადირბეიჯანის მთავრობამ წინადადება მოგვცა შევისყიდოთ ბაქოში 50,000 ფუთი ბენზინი, ფუთი 100 მანეთათ თფილისში გადმოტანით, იმ პირობით კი, რომ მათ უფლება მიეცათ 50,000 ფუთი ბენზინის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასასყიდათ შემოტანისა. აქაურმა ჩვენმა წარმომადგენელთა საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ჩვენ საჭირო ჭურჭელი არ მოგვეპოვება და არც მისი ზღვით შემოტანა შეგვიძლია, ამიტომ საჭიროთ დავინახეთ შევეკითხოთ ჩვენს მთავრობას. გარდა ამისა, წინადადებას გვაძლევენ 50,000 ფუთი ნავთის შეძენისათვის ფუთს 40 მანეთობაზე საქართველოდან მისი ექსპორტის უფლებით. წინათ განსაზღვრულ ჩვენთვის კუთვნილ ნავთის გადმოსაზიდათ, გთხოვთ დაუყონებლივ გამოგზავნოთ ორი მატარებელი. გუშინ საქართველოში გამოვგზავნეთ 57 ცისტერნი,—მათში 16 ცისტერნი ნავთია. ჩვენი წარმომადგენელი ქარცივაძე გთხოვთ გამოგზავნოთ დახურული ვაგონები აქაურ ქართველთა სამშობლოში წამოსასვლელათ, რომელთა მდგომარეობა აქ ფრიად მძიმეა.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** 13 ნოემბერს, საღამოს 5 ს. შესდგა საზოგადოების ახლად არჩეული მთავარი გამგეობის პირველი მორიგი სხდომა. ამ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ დ. გ. კარიჭაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ თ. გ. კიკვაძე, მდივნათ ვ. ა. ბურჯანაძე, ხაზინადრად—შ. ს. დედაბრიშვილი. სასკოლო სექციის თავმჯდომარეთ—ლ. გ. ბოცვაძე, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი სექციის დროებით დატოვებულ იქნა ვახ. კახიძე, სამწიგნობრო სექციის—თ. გ. კიკვაძე, ხოლო სამუზეუმო—დ. გ. კარიჭაშვილი. დადგენილ იქნა გამგეობის მორიგი სხდომები იმართებოდეს შაბათობით.

◆ **თავისუფალია** მასწავლებლის ადგილები ბორჩალოს მაზრის სოფლის სკოლებში, ყალაშის, გომარეთის და გორის მაზრის—ატენის. ჯამაგირი თვეში 400 მ. თხოვნები მიიღება წერა-კითხ. გ. საზ. კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5).

◆ **თათბირი.** პარასკევს, დილის 10 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, საერობო განყოფილებაში, შესდგება კრება სამინისტროს წარმომადგენლების ერობებისთვის ქონების გადაცემის შესახებ. სთხოვენ მაზრის გამგეობის წევრს, რომელნიც ამ ჟამად ქალაქში არიან, უთუოდ დაესწრონ ამ კრებაზე.

◆ **დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა თფილისის საგუბერნიო ციხიდან გაქცეულნი მ. კრუპინი და ვ. ახვლედიანი.

◆ **სომეხთა დელეგაციის დაბრუნება.** გუშინ, საღამოს 6 საათზე, სტამბოლიდან დაბრუნდა სომეხთა სამშვიდობო დელეგაცია ავ. აგარონიანის თავმჯდომარეობით. დელეგაციასთან ერთად დაბრუნდა 60 ტყვე სომეხი ჯარისკაცი.

◆ **მკვლელობა.** 13 გიორგობისთვეს ილისაბედის ქუჩაზე მოჰკლეს მეორე ცხენოსან პოლკის პოდპორუჩიკი გ. ბერიძე.

— ამ დღეებში ნატახტარში გამოუკვლეველ მიზეზების გამო მოჰკლეს სოც. ფედ. პროპაგანდისტი გ. ჰუმბურიძე.

◆ **ლექცია.** დღეს, 15 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია მორიგი ლექციები: 1) ექ. მაისურაძისა „ანატომიაზე“ და 2) ი. ირემაშვილის „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა“.

◆ **სახოფლო კომისიამ** უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: ვალდებული არიან სოფლათ მომუშავენი და პასუხისმგებელნი ორგანიზატორები თფილისში დაბრუნებისთანავე შეიდნენ სასოფლო კომისიაში და განაცხადონ გამოსვლის მიზეზი. აგრეთვე აცნობონ, თუ როდის წამოვიდნენ პროვინციიდან ან როდის დაბრუნდებიან.

◆ **მთავარი საბაჟო სამმართველო** ამით აცხადებს, რომ შაბათს, 16 ნოემბერს, მის ეზოში მოხდება საჯარო ვაჭრობა დილის 10 საათიდან დაწყებული. გაიყიდება შემდეგი ნახმარი ნივთები: ზამთრის საბნები, ხალათები, შარვლები, საცვლები, დოშაქის პირები, ტომრები, ფარაჯები, ბორბლები, ცხენის შესაკმაზები და სხვა.

◆ **გერმანული ენის კურსები სამხედრო პირთათვის.** ამა წლის ნოემბრის 20 დან, ქართულ-გერმანულ კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით, თფილისის სამხედრო სასწავლებელში (მიხაილოვის პროსპექტი) გაიხსნება გერმანული ენის კურსები სამხედრო პირთათვის. მეცადინეობა საღამოობით, ბერლიცის მეთოდით, კვირაში სამჯერ. ფასები შეღავათიანია. მსურველებს შეუძლია ჩაეწერონ: 1) საერობო საარჩევნო მთავარ ინსტრუქტორის კანცელარიაში, პეტრე დიდის ქუჩა, შინაგან საქმეთა სამინისტროში, დილის 9 საათ ნაშუადღევის 3 საათამდის; 2) მატერიალური ქუჩა № 14. (1. უბანი), გრიგოლ წერეთელთან. საღამოს 5—8 საათამდის.

კრებები.

დღეს, 15 ნოემბერს,—ლექციების შემდეგ მოხდება თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება.

— კვირას, 7 ნოემბერს, დილის 4 საათზე ანასტასიის ქუჩა, № 22, შესდგება კრება ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტთა და კურსისტკების მარქსისტული წრის დასაარსებლად.

— კვირას, 17 ნოემბერს, დილის 10 ს. საბჭოს დარბაზში შესდგება თვით-მართველობის მოსამსახურეთა დელეგატების სხდომის გაგრძელება.

— 23—24 ნოემბერს მოხდება ამიერ-კავკასიის ექიმის თანამშრომელთა პროფესიონალური კავშირის წევრთა კრება.

სოფლის ცხოვრება

ჩვენი სამღვდელოება

„დაჩვეულსა ნუ მოაკლებ, დაუჩვეველს ნუ დაჩვევ“-ო, ამბობს ქართული თქმულება.

რასაკვირველია, მაღალ და მუქთა ხორა წოდებებში წარმოშობილი ჩვენი სამღვდელოებაც ისე, როგორც მოქეიფე მემამულენი, დაჩვეული მუქთად ცხოვრებას და შეყვარებული კარგ სმა-ჭამას, ვერ შეეგუა ახალ პირობებს და ცდილობს გამოსავალის გამონახვას. ერთ ხანს დიდი იმედი ტრიალებდა მათშიაც დროების ჩქარა მათ სასარგებლოთ შეცვლაზე მაგრამ... მაგარი ის გამოდგა, რომ ქართველი დემოკრატია გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს და დღითი დღე ამაგრებს დემოკრატიულ რესპუბლიკას. დღითი დღე გაყავს ცხოვრებაში რევოლიუციის მონაპოვარი. ეხლა სამღვდელოება ცდილობს სხვა გზით მიაღწიოს მიზანს: მას უნდა თვით დემოკრატიული რესპუბლიკა დააჯეროს თვის აუცილებლობაში და კარგი ლუკმის მიღებაში. ცდილობს დაანიშვნინოს ხაზინიდან გვარიანი მოზრდილი ჯამაგირები.

ამ მიზნით მათ შეიტანეს კიდეც მთავრობაში პროექტი, რის დაკმაყოფილებას სახალხო ხაზინამ უნდა მოანდომოს გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა უწყებას, მაგრამ უბედურება თურმე ისაა, რომ რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას არ აქცევს ამ პროექტს და აი, რომ გავლენა მოახდინოს მთავრობაზე და პარლამენტზე, სამღვდელოება „მიმართავს ხალხს“.

სოფლათ მიდიან სამღვდელოების წარმომადგენლები, სთხოვენ კომისრებს კრების მოწვევას და ხალხს აჩვენებენ ხელში მზა რეზოლიუციას, სადაც წერია, რომ მოვითხოვოს მთავრობას დაუყონებლივ დაუნიშნოს მღვდ. და დიაკვ. ათასი და ორას ორმოცდა ათი მანეთი თვეში. წინასწარ ცალკე ამზადებენ გულუბრყვილო გლეხთ და ისინიც წაკითხულს ტაშს უკრავენ, რაც კრების დასტურათ ითვლება და მღვდლებიც მოითხოვენ კომისრებისაგან, ამ მაზრის რეზოლიუციის კრების სახელით მთავრობისათვის გადაგზავნას. გულუბრყვილოთ სამაგიეროთ პირდებიან, რომ ხალხს აღარ გადაახდევინებენ არც ერთს კაპეიკს მღვდელთ მოქმედების ასრულებაში და რადგან გლეხს ეხლა ცოტა არ ხდება სამარხის, ნათვლის და ჯვრის წერის, ისინიც ებმებიან მახეში, ვინაიდან არავინ უხსნის—სიდან უნდა შევიდეს ეს მილიონები ხაზინაში.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს რაიონის კომისრების მიერ, საჭიროა ხალხს სინამდვილე აუხსნან ადგილობრივმა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. თუ სამღვდელოებას სურს რეფერენდუმი ამის წინააღმდეგი არ ვიქნებით, მაგრამ ხალხს წინასწარ უნდა განუმარტონ ორივე მხარემ პრესით და სიტყვიერათ, უნდა წარსდგნენ კრებაზე მომხსენებლები ორივე მხრით და მერე ეყაროს კენჭი რეზოლიუციებს, ხოლო მანამდე კი „კონტრაბანდით“ ჩატარებული „რეზოლიუციები“ გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ სამღვდელოების წუწუნი მათი აუტანელი მდგომარეობის შესახებ, რაშიაც ზოგი დემოკრატების სათუთი გული აიყოლია, არ შეესაბამება სიმართლეს. სამღვდელოებას არც ისე ცუდი შემოსავალი აქვს ეკლესიებისა და მღვდელმოქმედების ასრულებისაგან, მათაც ისევე აუწიეს „ტაქსას“, როგორც ყველა სხვამ. ამას გარდა უნდა გაიხსენოს ყველამ, რომ მღვდელდიაკონი მუდამ დღე-ღამე წირვა ლოცვაში და სხვა სულის საქმეში არაა გართული და შეუძლია ჩვეულებრივი სამეურნეო საქმის კეთება. მათი ცოლშვილი ხომ სულ ტყუილაა და შეუძლიათ სხვა ქალებივით საოჯახო საქმის კეთება, ფრინველების მოშენება და სხ. გადახედონ სამუსულმანო სასულიერო პირთ და მიბაძონ მათ. თუ ისინი ეწევიან ნალბანდობას, დალაქობას და სხვას, რატომ ჩვენ მღვდელ-დიაკვნებს არ შეუძლიათ ვენახის კეთება, დურგლობა, კალატოზობა და სხვა? ამით ხომ მათ მოძღვრებასაც ნდობა მიემატებოდა?

უნდა ყველა შეეგუოს პირობებს, უკუვაგდოთ გაცვეთილი თქმულება „დაჩვეულსა ნუ მოაკლებო“ და გავაიაფოთ ხალხისთვის ყველაფერი, მათ შორის მღვდელთმსახურებაც.

ზ. დათიაშვილი.

იუსტიციის სამინისტროში

საპყრობილეთა დაცვის გაძლიერება. იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა საპყრობილეთა ინსპექტორს უსასტიკესი ზომები იქნას მიღებული საპყრობილეში წესიერების დასამყარებლად და საპყრობილეთა დაცვის გასაძლიერებლად. ამავე დროს სამინისტრომ სთხოვა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა ციხეების დასაცავად გაგზავნილ იქნას განსაზღვრული რიცხვი სახალხო გვარდიელთა. ითხოვა აგრეთვე თფილისის გენერალ-გუბერნატორს დაცვის გაძლიერება საპყრობილეთა რაიონებში.

რედაქტორების სამართალში მიცემა. იუსტიციის მინისტრმა შ. ალექსი-მესხიშვილმა წინადადება მისცა თფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს, რათა დაუყონებლივ იქნან სამართალში მიცემული იმ ბეჭდვით ორგანოების რედაქტორები, სადაც მოთავსებული იყო ყალბი ცნობები მთავრობის საქმიანობის შესახებ, განსაკუთრებით ლტოლვილთა საკითხის გამო.

განქორწინების პროექტი. იუსტიციის სამინისტრომ მიიღო მთავრობისაგან განქორწინების პროექტი, წარდგენილი მთავრობისთვის საკათალიკოზო საბჭოს მიერ. ეს პროექტი კარგა ხანია, რაც შემუშავდა საკათალიკოზო სასამართლოს ინიციატივით, უკანასკნელის წევრის გ. თ. ჟორდანიას მიერ. შემდეგ პროექტი განხილულ იქნა საკათალიკოზო საბჭოს და სასამართლოს შეერთებულს სხდომაზე, სადაც განხილულ იქნა პარალელურად ზემოხსენებული პროექტი გ. ჟორდანიასი, საკათალიკოზო სასამართლოს მიერ დადასტურებული და აგრეთვე პროექტის საბჭოს წევრის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის დეკ. კორნ. კეკელიძისა. ორივე პროექტი შეთანხმებულ იქნა და წარედგინა მთავრობას. მთავრობის დადგენილებით პროექტს განიხილავს საუწყებათაშორისო კომისია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საკათალიკოსოს წარმომადგენელთაგან, რის შემდეგ პროექტი წარედგინება მთავრობას და პარლამენტს. საუწყებათაშორისო კომისიის კრება დანიშნულია პარასკევს, ნოემბრის 15-ს, საღამოს 7 საათზე, იუსტიციის მინისტრის კაბინეტში.

საკოდიფიკაციო განყოფილებაში. საკოდიფიკაციო განყოფილების საქმეთ მწარმოებლათ დაინიშნა კერძო ვექილი არტემ ახნაზაროვი, კორექტორად ი. მამულაშვილი-გრიშაშვილი, ექსპედიტორათ ა. სიხარულიძე.

საპყრობილეთა ინსპექტორის ბინის გადატანა. საპყრობილეთა ინსპექცია იუსტიციის ამხანაგის გრ. იჟ. გველესიანის განკარგულებით ამ დღეებში გადავა იუსტიციის სამინისტროს ბინაზე, სამამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში.

ქვეშევრდომობის კანონი. ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულმა საბჭომ გამოგზავნა იუსტიციის მინისტრის საქართველოს ქვეშევრდომობის ახალ კანონის პროექტი. პროექტს წინასწარ განიხილავს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საიურისკონსულტო ნაწილი.

საგანგებო საქმეთა გამომძიებელი. თფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელთა თანამდებობაზე დატოვებულ იქმნენ გ. ო. ჯომარჯიძე, ბ. რუსანოვი.

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების გამგეობის კრება დანიშნულია შაბათს, ნოემბრის 16 ს, იუსტიციის სამინისტროში, საღამოს 7 საათზე.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში

გენერალმა მაყაშვილმა შემდეგი მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს: „მოქალაქენო! ოსმალთა ჯარი, რომელსაც უნდა დაეცალა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, სხვადასხვა მიზეზით არ ასრულებენ ამ გადაწყვეტილებას და დროზე არ გადიან. ამავე დროს ოსმალები ეზიდებიან ამ მაზრებიდან თავიანთ ქვეყანაში სანოვაგეებს და ყველა იმას, რაც რაიმე ღირებულებას წარმოადგენს: ოქროს და ვერცხლის ნივთებს, იმ ავეჯეულობას, რის გაზიდვაც მოსახერხებელია. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი დაუშვებელი მოქმედება ოსმალეთის ჯარის არამც თუ ალარიბებს ხალხს, არამედ ხელს უწყობს მცხოვრებთა განადგურებას.

ამის გამო, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო მიეღო ყოველივე ზომები ოსმალთა ჯარის ყაჩაღურ საქციელის წინააღმდეგ. მთავრობამ გაგზავნა ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში რაზმები, ჩემის უფროსობით ამ მაზრების დასაპყრობათ. ზემოხსენებულ მაზრებში გამოცხადდა სამხედრო წესები.

ამ მაზრაში ჯარების გაგზავნის ერთი მთავარი მიზანთაგანი არის: დაცვა მცხოვრებთა სიცოცხლის და მათი ქონების. ამის გამო მოგიწოდებთ ახალქალაქის და ახალციხის მაზრების მოქალაქენო, შეხვდეთ ამ ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯს სრული ნდობით და აღმოუჩინოთ ყოველივე დახმარება ჯარს, რათა მათ მიაღწიონ დასახულ მიზანს და საერთო ძალღონით დაიცვათ თქვენი და თქვენი ცოლშვილის სიცოცხლე.

იმედი მაქვს, რომ მცხოვრებთა დახმარებით, მე მივაღწევ საქართველოს მთავრობის მიერ დაკისრებულ მიზნებს და ახლო მომავალში დავამყარებ წესრიგს ზემოხსენებულ რაიონში.

ქართველები და ჩვენ—სომხები

აგერ ერთი თვეა, რაც ავსტრო უნგრეთის ტყვეობიდან ჩამოვსულვარ. ხუთი წელი გავიდა მას აქეთ, რაც მე სამშობლოში არ ვყოფილვარ. აქაურ ამბებს ძალიან იშვიათად ვიღებდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ომიანობის და არეულობის დროს საქართველოს ტერიტორიაზე ორი მცხოვრები ერი—ქართველები და ჩვენ, სომხები, მაგრათ ხელ ჩაკიდული ერთი გრძნობით, ერთი აზრით, როგორც კონტრრევოლიუციონერებს, აგრეთვე სხვა მტრების წინააღმდეგ ერთმანეთს დავეხმარებოდით; მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, აქ ჩამოსვლისთანავე ის იმედები, რომლებსაც მე დასუსტებული, მოქანცული შიმშილობის გამო, სიხარულით გულში ვატარებდი, გამიცრუვდნენ. მის მაგიერ, რომ ჩვენ, სომხები და ქართველები ერთმანეთს დავხმარებოდით, შური, ზიზღი და დაუნდობლობა გავრცელებულა ჩვენ შორის. ვისი ბრალია ეს ყველაფერი? დიდი გამჭრიახობა არ უნდა კაცს, რომ მიხვდეს ამ მეტად უსიამოვნო მოვლენების გამომწვევ მიზეზს. განა ეს არ არის სხვადასხვა შოვინისტურ გაზეთების საზიზღარი აგიტაციის შედეგი, რომლებიც ყოველნაირი სიცრუით ხალხს აღელვებენ და ჩვენ და ქართველებს შუა უნდობლობას და მტრობას აღვივებენ? განა ჩვენ ან ქართველ დემოკრატიის ბრალია ამ ყოვლად საძაგელი მოვლენების გამოწვევა? განა არ შეგვიძლიან ჩვენ და ქართველებს ძმურად და მეგობრულად ცხოვრება? რა დაგვიშავეს ჩვენ ქართველებმა, ან ჩვენ მათ? არაფერი! ხომ ვცხოვრობდით მთელი საუკუნოების განმავლობაში მშვიდობიანათ და მეგობრულათ? მაშ, ეხლა რა დაგვემართა, რა ღმერთი გაგვიწყრომია?

გარწმუნებთ, საქართველოს ნაწილებში მცხოვრებნო, ყველა სომხებო, არავისთან ჩვენ არ გვიცხოვრია აქამდის ისე მეგობრულად, როგორც ქართველებთან, არასოდეს ჩვენ შორის შური და ზიზღი არ ყოფილა გავრცელებული. ნუ დაუჯერებთ იმ გაზეთებს, რომლებიც შურს და უსიამოვნებას აგდებენ ჩვენ და ქართველებს შორის. არამც თუ ხელი არ უნდა შეუშალოთ ჩვენ არაფერში, არამედ ყოველნაირი დახმარება, როგორც სიტყვით, ისე საქმით უნდა გაუწიოთ ერთმანეთს. თუ საქართველოში სიწყნარე და მშვიდობიანობა იქნება, თუ საქართველო ეკონომიურად აყვავდება და პოლიტიკურად უცხო ერებისაგან დაჩაგრული არ იქნება, გარწმუნებთ, რომ ეს არამც თუ ქართველებისათვის, არამედ ჩვენ, სომხებისთვისაც მეტად სასიამოვნო იქნება. მე ხშირად გამიგონია ქართველ შოვინისტებისაგან და უსათუოდ თქვენც გაგეგონებათ—სომხები ჩვენი მტრებიაო, სომხები ჩვენ ყველაფერში ხელს გვიშლიანო. მართალია, არაა სასიამოვნო მაგეთი უსაბუთო მსჯელობის მოსმენა, მაგრამ ნუ მოუგდით ამაზე გული, ეცადეთ, დაუმტკიცოთ, რომ სომხის დემოკრატიას არასდროს არ ჰსურს ავი ქართველებისთვის, რომ ის მუდამ ლუკმა პურის შოვნაში არის გართული და მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს იმ შოვინისტურ ჯგუფებთან, რომლებიც ცდილობენ ის თავიანთ კლანჭებში გაახვიონ და თავისებურათ ათამაშონ. ჩვენი უმთავრესი ვალდებულობა არის, რომ ჩვენ ქართველ ერთან კეთილ მეზობლათ ცხოვრება განვაგრძოთ, ხელი შეუწყოთ მათ ჩვენ საერთო სამშობლოს თავისუფლების დაცვაში. მაშ, რა გამოვა მით, ჩვენ რომ ერთმანეთს უნდობლად მოვექცეთ, ლანძღვა-გინება დაუწყოთ, გადავემტეროთ, როგორც ეს სურთ შოვინისტებს.

ამას არავითარი ბედნიერება არც ჩვენთვის არც ქართველებისათვის არ მოჰყვება და შოვინისტები კი, რომლებიც ეხლა გვაღელვებენ, რაიმე უსიამოვნების დროს განზე გადგებიან და შორიდან ცქერას დაგვიწყებენ.

თქვენ კი სხვადასხვა ჯურის შოვინისტებო, ხალხის მტრებო, ნუ სარგებლობთ შემთხვევით, ნუ აბოროტებთ მშვიდობიან ხალხს, ნუ ამტერებთ მათ ერთმანეთს, თორემ მის მოთმინებასაც ბოლო მოეღება, მის მაგიერ, რომ ერთმანეთს ქლიტა დაუწყონ, როგორც თქვენ ეს გნებავთ, ადრე თუ გვიან შეიგნებენ, რომ თქვენ კეთილი გზით არ მიგყავთ. შერმე კი... იცოდეთ, რომ თქვენი დროც წავა, იცოდეთ, რომ თქვენ უმწეო მოქმედებას ადრე თუ გვიან ასწონ დასწონიან და წყევლით და კრულვით მოგახსენებენ.

ჩხარი. ი. სიმონგულიანი.

რედაქციისაგან: სიამოვნებით, თითქმის უცვლელათ ვბეჭდავთ ი. სიმონგულიანის წერილს. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები დემოკრატია განურჩევლათ ეროვნებისა, შოვინისტთა ხელში სათამაშო საგნად არ გახდება, მაგრამ, ჩვენის აზრით, ერთ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება: არ არის საკმაო საზოგადოთ შოვინისტების შესახებ წერა. თუ სინამდვილეში ჩავიხედავთ, შემდეგს დავინახავთ: ქართველი შოვინისტები არავითარ ძალას არ წარმოადგენენ, მათ არავითარი გავლენა არ აქვთ ხალხში, ისინი იარაღ აყრილნი არიან. ამავე სურათს ჩვენ ვერ ვხედავთ, სამწუხაროდ, სომეხ-შოვინისტთა ბანაკში: მათი რაზმი იქ ძლიერია, რომელსაც მეთაურობს დაშნაკცუტიუნის პარტია.

და ვისაც მართლა გულწრფელად სურს, რომ ორ მეზობელ ერში რაიმე უსიამოვნებას ადგილი არ ექნეს, ის იერიშით უნდა მივიდეს იმ ციხის დასანგრევათ, რომელშიაც გამაგრებულია შოვინიზმი.

ამ ჟამად დასანგრევია დაშნაკცუტიუნის შოვინიზმის მძლავრი ციხე-სიმაგრე.

ჩრდილო-კავკასიაში

ამ დღეებში ქ. პიატიგორსკიდან ჩამოვიდა ამხ. ი. თ—ძე, რომელმაც ჩრდილო-კავკასიის მდგომარეობის შესახებ შემდეგი გვიამბო:

ჩრდილო-კავკასიაში ორი ძალა იბრძვის ბატონობისათვის: ყაზახები, რომელთაც ჰყავთ შედგენილი ე. წ. „მოხალისეთა არმიები“ და ბოლშევიკები. მათ შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული. ბოლშევიკების ცენტრი არის ქ. პიატიგორსკში. მათი უმაღლესი მთავრობაა ჩრდილო კავკასიის ცენტრალური აღმ. კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ვინმე რუბინი. ბოლშევიკები მეფობენ პიატიგორსკის, ესსენტუკის და კისლოვოდსკის რაიონებში. აგრეთვე არიან კავკავში. კავკავსა და პიატიგორსკს შუა ბრძოლაა გამართული. ყაზახების ცენტრი მოზდოკშია. მათ მეთაურობს პოლკ. შკურო. ინგუშები და სხვებიც ბოლშევიკების მხარეზეა. ბოლშევიკურ ც. აღმ. კ—ში შედის ნაციონალური ფრაქციები.

ამ ორ ძალას შუა ისეთი ცხარე ბრძოლაა, რომ მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია. ქალაქები და სოფლები ხელიდან ხელში გადადის. ბოლშევიკების საბატონოში გამოდის მხოლოდ მათი გაზეთები.

ქართველების მდგომარეობა იქ მეტად ცუდია. ბოლშევიკური მთავრობა ავიწროებს. პიატიგორსკში და სხვა ქალაქებში არსებობს ქართველთა კომიტეტები, მაგრამ ისინი მოკლებული არიან საშუალებას დაიცვან ქართველთა ინტერესები. მას შემდეგ, რაც მოვიდა ცნობა, რომ რუსეთს უცვნია საქართველოს რესპუბლიკა ოფიციალურად, ჩვენ, ქართველთა ც. აღმ. კომიტეტის რამდენიმე წევრი, გამოვეცხადეთ რუბინს და ვსთხოვეთ, რომ ჩვენ უფლება მოგვცემოდა საქართველოს წარმომადგენლები ვყოფილიყავით, რომ დაგვეცვა ქართველთა საარსებო ინტერესები. იგი დაგვპირდა 3 დღის შემდეგ პასუხს მიიღებთო. ეს იყო 16 სექტემბერს. სამი დღის შემდეგ კი, როცა ჩვენ კომიტეტს სხდომა ჰქონდა, მათ ალყა შემოგვარტყეს და ყველანი, რიცხვით 25 კაცი, დაგვიჭირეს მე, როგორც იქნა გავნთავისუფლდი და აქ ჩამოვედი, რომ საქართველოს მთავრობას ვსთხოვო შესაფერი დახმარება და ზომების მიღება, ის 24 კაცი კი ისევ დაჭერილებია.

საქართველოზე იქ ათასგვარ ჭორსავრცელებენ. „იზვესტიას“ ერთ ნომერში პირველ გვერდზე ვეებერთელა ასოებით დაბეჭდილი იყო, რომ „ქართველი სოციალ-გამცემლები ჩრდილო-კავკასიისკენ გამოლაშქრებას აპირებენო“.

სონეტი.

აისის სხივი აღარ ყვავის მრავალ ფერებათ,
ჩამოწვა ნისლი და ჩემ ბაღში დაბსადგურა;
კვდება ხალისი, შვებით სულსაც არ ემღერება
ვგრძნობ თითქოს სევდა სამუდამოთ გადამეხურა.

მახსოვს—ოცნება ერთხელ ტრფობას ესაფეხურა
დღეს მხოლოდ აჩრდილს სინამდვილის—შევეფერები;
შევალ ღამეში და წყვდიადი მომეფერება,
მან იცის მხოლოდ მის სიღრმეში მივდივარ თუ—რად.

დავასაფლავე ჩემი ფიქრი სევდის კუბოში,
დიდხანს ვიარე—ვერაფერი ვერ ვპოვე ბრბოში.
და დავრჩი იმედ გაძარცული, გულ—დასერილი.

და თუ ხვალ ბედმა ქვეყანაზე აღარ მატარა,—
ჟამთა ზღაპარში შეიქმნება ჩემზეც—წერილი
შიგ ეწერება:—... იგი იყო... არა იყო-რა.

ხარიტონ ვარდოშვილი.

ქართული სამუსიკო საზოგადოება

მოქალაქენო! ეხლა როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება წყნიერ კალაპოტში დგება, როდესაც ჩვენ თავისუფლად ვიწყებთ სუნთქვას, და აღარ გვაშინიან ჩვენი ფიზიკური არსებობისა, ჩვენთვის საჭიროა კულტურულ განვითარებაზე ფიქრი, რათა დემოკრატიული საქართველო, და მასში მოსახლე ერები, სწრაფი ნაბიჯით მიდიოდინ წინ, რომ კულტურულ ევროპას ამოუდგეთ გვერდში.

ქართულ სამუსიკო საზოგადოებას აქვს რა სურვილი დაეხმაროს საზოგადოებას კულტურულ და გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, მოგიწოდებთ თქვენ, მოქალაქენო, ფართო თვითმოქმედებისათვის, და სამუსიკო საზოგადოების დახმარებისათვის.

მუსიკაში არ არის, არც ებრაელი, არც ელლინი.

მუსიკა უაღრესად ინტერნაციონალური შემოქმედებაა ადამიანის სულისა, და აი, ამისათვის ყოველი მოქალაქე, რომელი ეროვნებისაც უნდა იყვეს, ჰპოვებს ქართულ სამუსიკო საზოგადოებაში გულმხურვალებას და ფართო დახმარებას.

საზოგადოებას განზრახული აქვს დაარსოს მთელი ქსელი სამუსიკო სკოლებისა, სადაც მოსწავლე თაობას შეეძლება მიიღოს სამუსიკო განათლება, სულ მცირე ფასებში.

საზოგადოებამ გახსნა, და განძრახვა აქვს გააფართოვოს დალკროზის ინსტიტუტის განყოფილება, სადაც ბავშვები ვითარდებიან ფიზიკურად და სულიერად.

საზოგადოება ეცდება, შეძლების დაგვარად, დააკმაყოფილოს სამუსიკო მოთხოვნილება ფართო საზოგადოებრივ მასისა, რისთვისაც უკვე მოაწყო კვარტეტი, ეწყობა ხორო, საოპერო სტუდია, გაიმართება ლექციები, იკრიფება ქართული სიმღერები დასამუშავებლად და სხვა.

ხოლო ეხლა საზოგადოება პატარაა, და მასი ქონება ძალიან მცირეა.

მოქალაქენო! ჩაეწერენით საზოგადოების წევრებად, შეიტანეთ თქვენი წვლილი მოქმედება და ყურადღება.

მხოლოდ მარტო საზოგადოების თვითმოქმედებით შეიძლება მივაღწიოთ სასურველ შედეგებს, მხოლოდ ამ გზით ჩვენ აღვზრდით შეგნებულ და კულტურულ შვილებს დემოკრატიისას.

წევრების ჩაწერა და შემოწირულება მიიღება ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის შენობაში: სლეპცოვის ქუჩა № 4, 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე.

ოზურგეთის სამაზრო ერობის საყურადღებოდ

საერთო მდგომარეობის გამო მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი საამშენებლო მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში სწარმოებს. და ყველა ის დაწესებულებები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის განმტკიცების საქმეს ემსახურებიან, ასეთსავე პირობებში არიან. ავიღოთ თუნდაც ერობა. განსაკუთრებულს პირობებში წარმოიშვა ჩვენში ერობა. ბევრი დაბრკოლებები ეღობება წინ ამ ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებას, რომ მან შესაფერისად დააყენოს თავისი მუშაობის საქმე და მით იმედი გაუმართლოს ხალხს. მაგრამ თუ ჩვენ ობიექტიურ პირობების გაუმჯობესებას ვუცადეთ, ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს. დღეს ბევრ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს უძღვებიან და აწარმოებენ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც რევოლიუციის პროცესში წარმოიშვენ. ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი ორგანიზაციების მემკვიდრე ერობა არის, ამიტომ სამაზრო ერობები ამ თავითვე უნდა შეუდგენ დადებითი მუშაობას, ვინაიდგან თვითეული დღე ძვირათ ღირს. დაუყონებლივ იზრუნონ საარსებო წყაროს გამოძებნაზე და გააჩაღონ მუშაობა.

ამ წერილით მე მინდა ოზურგეთის სამაზრო ერობის ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: როდესაც გურიის დასავლეთ მხარეს ოსმალეთი შემოესია, თფილისში მყოფ გურულ ამხანაგების ინიციატივით თფილისში შესდგა ეგრეთ წოდებული გურიის დამხმარე კომიტეტი. ამ კომიტეტის წევრთა მუყაითობით საგრძნობი თანხა იქნა შეგროვილი შემოწირულების, სეირნობა-ლატარიისა თუ სხვა სახით. მე მგონი ჯერ არ ექნებათ დავიწყებული, თუ რა დიდი დახმარება გაუწია კრიტიკულ მდგომარეობის დროს ამ კომიტეტმა გურიიდგან გადმოხვეწილთ და აგრეთვე გურიის სოფლებს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით. ერთ უდიდეს დახმარებათ უსათუოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ამ კომიტეტმა თავის ხარჯით გურიაში გახსნა საექიმო და საფერშლო პუნქტები. გურიის მთავარ რაიონებში დაარსდა საექიმო პუნქტები და თითქმის ყველა დიდ საზოგადოებებში გაიხსნა საფერშლო პუნქტები. ყველამ იცის თუ რა რიგ კოჭლობს ჩვენში საექიმო-სანიტრო საქმის ორგანიზაცია. დღემდისაც სოფელი ამ მხრივ ღვთის ანაბარაა დატოვებული და ხალხი სხვადასხვა მატყუარა ექიმბაშების ხელშია ჩაცვენილი. ამიტომ, ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანი არის გურიის კომიტეტის მიერ ასეთი საექიმო პუნქტების გახსნა. სწორეთ ისეთ დროს, როცა გურიის სოფლებს ახალი უბედურება დაატყდა თავზე და მთელს ხალხში ახალმა ავათმყოფობამ, „ისპანკამ“ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ საშინელი ავათმყოფობის დროს ამ „პუნქტის“ ფერშალ-ექიმებმა დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ხალხს. ჯერ ერთი, რომ კომიტეტს „პუნქტებზე“ დანიშნული ჰყავდა სულ ყველა გამოცდილი ფერშლები, რომელთაც შესაფერისი სწავლა-განათლება ჰქონდათ მიღებული საფერშლო სკოლებში. დღეს გურიაში იმისთანა ოჯახი თითქმის არც კი მოიპოვება, რომ ორი სამი არ იწვეს „ისპანკით“ ავათმყოფი. ასეთ დროს, რომ კერძო ფერშლების და ექიმების ამარა დარჩენილიყო ხალხი, ეს პირდაპირ ტყავის გაძრობა იქნებოდა მათი. დღეს კერძო ფერშალი ერთის ან ორის ვერსის მანძილზე 20—25 მანეთ. ნაკლებ არ მიდის ავათმყოფთან, ექიმები ხომ ახლო მანძილზე 100—150 მანეთს იღებენ და შორს სულ არ მიდიან უგზოობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ეპიდემიის დროს პუნქტების ფერშლები რომ არ ყოფილიყვნენ, სოფლის ყველა ექიმბაშები ამოძრავდებოდნენ და ვინ იცის რამდენი ავათმყოფი შეიქნებოდა უმეცრების მსხვერპლი. გურიის კომიტეტმა იმ პირობით მიიღო პუნქტებზე ყველა ექიმები და ფერშლები, რომ მათ უსასყიდლოთ უნდა ეწამლათ ხალხისთვის და კომიტეტი თვიურად აძლევდა მათ ჯამაგირს 600 მანეთს. პუნქტების გახსნამ ხალხი დაიფარა ექიმბაშებისაგან; ხალხმა რაკი გაიგო, რომ უფასოთ არის ფერშალიო, თუ გინდა მთელი დღე და მეორე დღემდინაც უცადოს რიგს, მაინც სხვასთან აღარ მიდის და სხვას აღარ ეძახის, ჯერ ერთი რომ ფულს არ იხდის და მეორეც, იცის, რომ „პუნქტზე“ საუკეთესო ფერშალი ან ექიმი არის. უნდა სიმართლე ითქვას, რომ წარმოუდგენელ შრომას ეწევიან პუნქტის ფერშლები და ექიმები ამ ეპიდემიური ავათმყოფობის დროს. მთელი დღე განუწყვეტლივ და აგრეთვე ღამითაც ავათმყოფებთან დადიან. ხშირად ყოფილა მაგალითი, რომ შეწუხებულ ავათმყოფთან ღამის 2—3 საათზე წაუყვანიათ ამა თუ იმ პუნქტის ფერშალი. ამ პუნქტის ექიმისა და ფერშლების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ისინი ხედავენ რა ხალხის ასეთ გაჭირვებას, დაუზოგავ შრომას ეწევიან და წარმოუდგენელ დახმარებას უწევენ ხალხს, მიუხედავათ იმისა, რომ დღეში რაღაც ორიოდე გროშს (20 მან.) იღებენ.

გურიის კომიტეტი პირველ იანვრიდან ლიკვიდაციას ახდენს თავის საქმეებისას და რა თქმა უნდა საექიმო და საფერშლო პუნქტების ლიკვიდაციაც მოხდება. გურიის დამხმარე კომიტეტი ეს დროებითი დაწესებულებაა, მან შეასრულა თავისი მოვალეობა, ემსახურა ხალხს იმ საშინელი გაჭირვების დროს, შემდეგ რაკი ცოტაოდენი თანხა დარჩათ კიდევ, აი ეს ზემო-აღნიშნული პუნქტები გახსნა. დღეს რაკი სახსარი ელევა, კომიტეტიც სწყვეტს თავის არსებობას და ყველა საქმეების ლიკვიდაციას ახდენს. ეხლა იბადება კითხვა, შესაძლებელია თუ არა ამ ექიმებისა და ფერშლების პუნქტების მოშლა.

ჩემის აზრით, ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს პუნქტები მოიშალოს. რა თქმა უნდა გურიის დამხმარე კომიტეტს ვერ დავაკისრებთ მათ შენახვას მომავალშიაც, კომიტეტმა შეინახა მანამ, სანამ სახსარი ჰქონდა და ამისთვის დიდი მადლობის ღირსია, უმთავრესათ კი იმიტომ, რომ საფუძველი ჩაუყარა ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმეს.

ოზურგეთის სამაზრო ერობამ ყოველგვარი ღონე უნდა იღონოს, რომ ეს საფერშლო და საექიმო პუნქტები დარჩეს, რასაკვირველია, პერსონალურათ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ პუნქტების არსებობა კი უსათუოთ უნდა გაგრძელდეს. აგრეთვე, თუ რომელიმე საზოგადოებაში არ არის გახსნილი, დაუყონებლივ უნდა გაიხსნას საფერშლო პუნქტები და ხალხს მიეცეს საშუალება საექიმო დახმარების უფასოთ სარგებლობისა, თუნდაც ასეთ პატარა საზომით მაინც.

ამ ხნის განმავლობაში ხალხი შეეჩვია უფასოთ საექიმო დახმარების მიღებას, ერობისაგან ის საექიმო საქმის გაუმჯობესებას მოელის და დღეს დღეობით თუ ესეც მოესპო, რაც გურიის კომიტეტის საშუალებით აქვს და ერობამ ვერ შესძლო ამ პატარა საქმის გაგრძელება, ეს ჩემის აზრით ხალხს გულს აუცრუებს ერობაზე. ამისათვის დროზედვე უნდა იქნას გამოძებნილი საჭირო თანხა. ჩემის აზრით, გურიაში ერობას ორი უმთავრესი საქმე აქვს გასაკეთებელი, ეს არის გზების გაკეთება და საექიმო საქმის მოწესრიგება. ეს ორი დარგი ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო უყურადღებოთ არის დაყენებული გურიაში. საექიმო საქმეს თითქოს ერთგვარი საფუძველი ჩაეყარა ამ პუნქტების გახსნით და მათი მოშლა ყოვლად შეუძლებელია. სამწუხაროთ, აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. ბევრმა საზოგადოებამ თუ საზოგადო ორგანიზაციებმა გურიაში სესხათ მიიღო გურიის კომიტეტიდან ფული სხვადასხვა სახით. მაგრამ ანგარიშის გასწორებაზე არც კი უფიქრნიათ. შეიძლება ხალხს გადახდილიც კი აქვს ფულები, მაგრამ კომიტეტამდის არ მიაღწია ჯერ, ესეც უნდა გამოირკვეს დაჩქარებით. ყველა ანგარიშები, რომ თავის დროზე გაესწორებინათ ჯერ კიდევ ამ პუნქტებს კარგა ხანს შეინახავდა კომიტეტი, რადგანაც ლიკვიდაციის მიზეზი უსახსრობაა.

ვიქტორ ნინიძე.

რუსეთის ცხოვრება

მემარჯვენეთა თათბირი კიევში.

17 ოკტომბერს კიევის საკანონმდებლო პალატის თათბირზე გაირჩა კითხვა საზავო კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლობის შესახებ. სხდომას თავმჯდომარეობდა ალ. ზიბერინსკი.

პ. ნ. მილიუკოვმა თათბირს წარუდგინა დასამტკიცებლად დეკლარაციის ტექსტი, რომლითაც მისი აზრით მიმართულ უნდა იქნას ყველა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ მთავრობათა მიმართ და რომელიც გადაცემულ უნდა იქნას საზავო კონფერენციის მოწვევის დროს. დეკლარაცია მოითხოვს რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებათაგან—სათათბიროს და საბჭოს,—რომელნიც რუსეთის კანონიერი და სრულ უფლებიანი ორგანო არიან, რომ საერთაშორისო კონგრესზე დაცულ იქნას და გაატარონ პრინციპი მთლიანი, განუყოფელი რუსეთისა. დეკლარაციამ [illegible] მათი გაიმართა [illegible] ბის მიერ [illegible], რომ დეკლარაციაში ნაჩვენები იქნას—თუ როგორი მართვა-გამგეობა უნდა იქნას მომავალ რუსეთში.

ეს შესწორება შეიტანა ვ. მ. პურიშკევიჩმა. მან განაცხადა, რომ „დეკლარაცია იმ სახით, რა სახითაც ის მილიუკოვმა შემოიტანა, არქივს უნდა ჩაბარდეს: რუსეთის მთლიანობა, რომელზედაც დეკლარაცია ლაპარაკობს, შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთში იქნება მონარქიული მართვა-გამგეობა. ამ სიტყვის გამოკლებით დეკლარაციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პურიშკევიჩის შესწორების წინააღმდეგ გაილაშქრა მემარჯვენე მოღვაწე დ. ა. ოლსუფიევმა. მონარქიის პრინციპს ვერ მიიღებს რუსეთის ხალხი, ამ პრინციპის წამოყენება ეხლა ნაადრევი იქნებოდაო. ოლსუფიევს აზრს შეუერთდენ კაპნისტი, გოლიცინი და ზოგიერთი მემარჯვენე წევრები სათათბიროსი და საბჭოსი. პურიშკევიჩის შესწორებას მხარი დაუჭირეს ფ. ნ. ბიზაიკიმ, სათათბიროს წევრმა შეჩკოვმა და ლიკოშინმა.

პურიშკევიჩი თავგამოდებით იცავდა თავისს შესწორებას. ხალხის მოუმზადებლობა მონარქიის მისაღებათ მას არ აშინებს. ბოლშევიკებიც ხელმძღვანელობენ მასისთვის გაუგებარ ლოზუნგებით, მაგრამ ისინი მტკიცეთ იცავენ თავის ლოზუნგებს და ხალხი მათ მიჰყვება. წინადადებას—გადაიდოს მონარქიის შესახებ მუხლი შემდეგი მეორე დეკლარაციისათვის — პურიშკევიჩი უარყოფს. მეორე დეკლარაცია არ უნდა იქნეს. თუ უნდათ სიკეთე შეთანხმებულება დასტოვონ, ყველაფერი ერთ დეკლარაციაში უნდა ითქვას. მეორე, მესამე და სხვას, არავინ ყურადღებას არ მიაქცევს.

დეკლარაციის ავტორი პ. ნ. მილიუკოვი, უკანასკნელ სიტყვაში იმ აზრს იცავს, რომ დეკლარაცია დარჩეს იმ სახით, რა სახითაც ის შემოტანილ იქნა. კენჭი უყარეს პურიშკევიჩის შესწორებას. უმრავლესობამ შესწორება მიიღო. ზოგიერთი თათბირის დამსწრეებმა მოითხოვეს, რომ თითოეულმა ცალკე მისცეს ხმა წინადადებას ხელის მოწერით. დამსწრეთა პასუხი ქაღალდზე იწერებოდა. აქ მოხდა ერთი გასაკვირველი შემთხვევა: თუმცა სხდომის მონაწილეთ არ ემუქრებოდა მეფის ჟანდარმები, არც მოსკოვის წითელი არმიელები, თუმცა მათთვის საშიში არ იყო გასამართლება კონტრ-რევოლიუციისათვის, მაგრამ მაინც მონაწილეთა რიცხვმა საგრძნობლათ დაიკლო. ალბათ, ყველას არ უნდოდა ქაღალდზე აღენიშნა თავისი პასუხი, მონარქია სურს მას, თუ რესპუბლიკა. ისინიც, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ ხმის მიცემაში, ძლიერ ფრთხილად მოქმედებდნენ. ხელმოწერილი ხმის დაკლების გამო ნაკუწნაკუწად აქციეს. პურიშკევიჩის შესწორება ასეთ ხმის მიცემაზედაც დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა.

ვ. მილიუკოვი დაემა. ის შესწორების წინააღმდეგი იყო, მაგრამ რახან ეგი მიღებულია, დაე ლაპარაკი კონსტიტუციონურ მონარქიაზე მაინც იქნესო.

გამარჯვებულნი არ ყაბულდებიან დათმობას. პურიშკევიჩს არ ეშინია განხეთქილებისა თათბირზე, რაზედაც მიუთითებს ზოგიერთი წევრი თუ ეგინიცობაა მილიუკოვის კონტრ-შესწორება არ იქნა მიღებული. იგი ვერ დაარწმუნა ვერც როდიჩევის სიტყვამ, რომელიც მილიუკოვის შესწორების სასარგებლოდ იყო თქმული. ის სთვლის, რომ ამ შესწორებას მაინც და მაინც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს დეკლარაციისთვის. მთავარი ისაა, რომ მიღებულ იქნეს, რომ რუსეთი—მონარქიული სახელმწიფო იქნება. დეტალიზაცია კი შეიძლება შემდეგაც მოხდეს.

პურიშკევიჩს მხარს უჭერენ ბეზაკი, შეჩკოვი და სხვები. მაგრამ რომ თათბირზე რაიმე განხეთქილება არ მოხდეს—ისინი მზად არიან კენჭის ყრის დროს თავი შეიკავონ.

კენჭის ყრა ხდება. მილიუკოვის შესწორება მიღებულ იქნა. საგრძნობმა ნაწილმა თავი შეიკავა.

გრ. ოლსუფიევი წინადადებას იძლევა, რომ დეკლარაცია გაგზავნილ იქნას მოხალისეთა არმიებში და რუსეთის სხვადასხვა ნაწილთა მთავრობებში იმ სახით, რა სახითაც მილიუკოვმა წარმოადგინა. რაც შეეხება პურიშკევიჩის შესწორებას, იგი შეიძლება ზეპირადაც იქნეს გადაცემული დელეგატების მიერ. მაგრამ ამ წინადადებამ თანაგრძნობა ვერ ჰპოვა.

სხდომის დამთავრებისას მიღებულ იქნა შუმინსკის წინადადება, რომ შედგენილ იქნეს პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც გააცნობს დასავლეთ ევროპას რუსეთის რევოლიუციის ხასიათს და რუსული საზოგადოების სულიერ განწყობილებას. („ბ“.)

ქართული ლატარია

(წერილი რედ. მიმართ).

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რათა თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ქ. ფოთის საპატიო მანდილოსნებს ქ-ნ დეკანოზისა, დადიანისას, ჩიმაკაძისას, ქადეიშვილის და ბ. ბ. ნ. აბდუშელიშვილს, ერმ. ბოლქვაძეს, ს. გოგიბერიძეს, მ. ესაკიას, პოლკ. ზაქარიაძეს, ან. წულაძეს და მთელს შემადგენლობას ფოთის ქალაქის თვითმართველობისას, რომელთაც ქ. ფოთში 1918 წ. ოქტომბრის 27 ს, კვირა დღით ლატარიის ბილეთების საქმარი გაჭრობის ხელმძღვანელობა იკისრეს და დიდი დახმარებაც გაუწიეს ჩვენს საქმეს, თვალსაჩინო თანხის შეგროვებით.

ლატარიის მთავარი გამგეობა.

—

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირების გამგეობამ დაიკავა ასი ათასი მანეთის ბილეთი კოოპერატივებში გასავრცელებლად.

ზუგდიდის თვითმართველობამ ლატარიის კომისიას ზუგდიდსა და სენაკს შუა მიმოსვლისათვის უფასოდ დაუთმო თავისი ავტომობილი.

ხაშურის თვითმართველობის გამგეობამ ქალაქისათვის შეიძინა ასი თუმნის ლატარიის ბილეთები.

მე-9 კომისარიატში

„ქურდს ქურდი არ წაუწყდებაო" მართლა ამბობს ხალხური ანდაზა, მაგრამ ეს ანდაზა არ შეეფერება ახლა საზოგადო დაწესებულებას, რომელიც ერთნაირი წესრიგის დამცველია.

დაახლოვებით სამი კვირის წინად—კომისარს ა. ი. კანდელაკს შემდეგს ქაღალდს ჰქონდა ადგილი:

მილიციის უფროსის ბრძანების თანახმად უნდა ჩამოევლოთ ყველა კომისრებს სავაჭროები და სადაც უნებართვოდ ვაჭრობას გააჩნიათ ალაგი, აიძულეთ ჯარიმებით და ვაჭრობის აკრძალვით. ნაბრძანები ზომების მიღების ნაცვლად კომისარმა მოახდინა უნებართვო სავაჭროებიდან სპირტეულობის კონფისკაცია და სხვადასხვა ჯურის სპირტეულობით ერთი ფაეტონი დატვირთული კომისარიატში მიიტანა და არ წარუდგენია სათანადო ადგილზე.

სპირტეულთან ერთად გამოყოლებული ჰურჯლებიც მოჰყვა, რომელზეც ამბობენ „ბოროტი ენები", კომისარმა თავის სოფელში გაგზავნაო. ოთხი თვის წინად მილიციონერებმა ერთ ქურდს იაიხი ტომარა შაქარი დაუჭირეს, სათანადო ადგილზე კი—ორმა ძლივს მიაღწია. ხშირათ იკარგება სხვა და სხვა ნივთეული კომისარის კაბინეტშიც. და კიდევ ბევრ ბოროტ მოქმედებებზე ლაპარაკობენ ყველანი.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

ტრიალელი.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 1 ნოემბერს შესდგა მესამე რაიონის ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება; თავმჯდომარეობდა ამხ. ნ. გ. იმნაიშვილი. დღის წესრიგი: 1) მომენტი, 2) პარტიულ ყრილობის დელეგატების არჩევნები, 3) თფილისის კომიტეტში გაგზავნა თავის წარმომადგენლებისა.

მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. რ. არსენიძემ. კრებამ მოისმინა რა ამხ. რ. არსენიძის მოხსენება მომენტზე, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კრება იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და სრულ ნდობას უცხადებს.

მეორე კითხვაზე მოხსენება გააკეთა გ. ლორიამ. კრებამ დელეგატებათ აირჩია: ი. ლორია, ნ. იმნაიშვილი, არ. ლიტანოვი, ა. ვაშაკიძე, ა. თუმანიანი. კანდიდატებათ: კვერნაძე და კაპანაძე.

კომიტეტის წარმომადგენლებათ კომიტეტში კრებამ აირჩია: ა. ვაშაკიძე, ბეჟანიშვილი, ბ. კაპანაძე. კანდიდატათ: გ. კვერნაძე. ი. მეგრელიძე.

—

ს. დ. მ. პ. გურიის კომიტეტის პრეზიდიუმისაგან. მოისმინა რა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება შესახებ ოზურგეთის მაზრა მიერ ოზურგეთის დაპყრობის გამო ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებებისა, ს. დ. მ. პ. გურიის კომიტეტმა 26—27 გასულ ოქტომბრის სხდომაზე მიიღო შემდეგი დადგენილება:

1) ს. დ. მ. პ. გურიის კომიტეტი საკმაოდ სთვლის მის მიერ არჩეულ საგამომძიებლო კომისიის ძიება-მუშაობას და ადასტურებს კომისიის დასკვნებს; ყოფილ ოზურგეთის ქალაქის თავს ამხ. ვიქტორ ლოლუას, მის მოადგილეს მიხა სახოკიას და გამგეობის წევრს ილარიონ ლომაძეს ვერ სცნობს დამნაშავეთ და ათავისუფლებს მათ ქალაქ ოზურგეთის დაცემის გარშემო მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებისაგან.

2) საგამომძიებლო კომისიას გამოეცხადოს მადლობა შრომისათვის.

3) დაევალოს პრეზიდიუმს გამოაცხადოს გაზეთებში ზემოხსენებული დადგენილება გამგეობის მოქმედების შესახებ.

გურიის ს. დ. მ. პ. კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდ. ამხ. გ. მურვანიძე.
მდივანი მ. რაზიშვილი.

—

სარიყამიშის ყოფილი ს.-დ. ორგანიზაციის ქონების ანგარიში. ანგარიში წარმოდგენილია საოლქო კომიტეტს. როგორც მკითხველს ეცოდინება, ოსმალების ჯარების მოახლოვების გამო სარიყამიშის ორგანიზაციის ლიკვიდაცია მოხდა, რის ანგარიში სხვა მიზეზების გამო საოლქო კომიტეტისათვის დღემდე არ მიგვეცია *).

მკითხველის საყურადღებოთ უნდა ვსთქვა რომ თუ გაზეთებში ბოლო ხანებში ხარჯი აღემეტებოდა შემოსავალს (თუმცა შეერთებულ ორგანიზაციების დროსაც ასე იყო) ეს არა იმისათვის, რომ ჩვენი გაზეთები არ ვრცელდებოდა, არამედ მისთვის, რომ ჩვენ უფასოთ ვარიგებდით ხშირად მიტინგებზე პარტიულ საერთო კრებებზე და აგრეთვე ვაგზავნიდით მოწინავე პოზიციებზე. თუმცა ისიც კი იყო, რომ დაგვიანებულად მოსული გაზეთები არ იყიდებოდა ეტგ. ამისათვის მოგვცვივდა ის დეფიციტი, რომელსაც მკითხველი დაინახავს ანგარიშში. ამ ანგარიშში შედის ის ვალიც, რომელიც დაგვრჩა გაზეთი „ვპერიოდ"-ის, რომელიც ჩვენ უკვე გავგზავნეთ. ნ. ა.

იმ ანგარიშიდან, რომელიც მე მებარა შეერთებულ (მენშევიკ-ბოლშევიკური) ორგანიზაციის დროს, როგორც ხაზინადარს, საგანგებო სარევიზიო კომისიის გამორკვევის თანახმად დაგვრჩენია 2026 მან. 30 კ. აქედან თითოეულ ორგანიზაციას ხვდა 1013 მ. 15 კ.

შემდეგ ამისა, ესე იგი, დღიდან რასკოლისა, ორგანიზაციას ჰქონდა შემოსავალი: გაზეთებში 481 მ. 35 კ., საწევრო გადასახადიდან 160 მ., დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლად შემოწირულება 186 მ., სულ 827 მ. 35 კ. გასავალი: გაზეთებში 761 მ. 35 კ., საოლქო კომიტეტს დამფუძნებელ კრების ფონდისათვის 500 მ., კლუბის გამგეს დარჩენილ დღეების ჯამაგირად 40 მ., ამხანაგების გაგზავნ-გამოგზავნა და სხვა ხარჯები დამფუძნებელ კრების არჩევნების მზადების დროს 326 მან. 25 კაპ. სულ 1 627 მ. 60 კ. აქედან დარჩა 212 მ. 90 კ. **) ამ ანგარიშში არ შედის შეერთებულ ორგანიზაციის დროის ანგარიში გაზეთების და ლიტერატურის, რომელიც ჩვენ არ გვებარა და საჭიროც არც ვისგანაც ჯერ იყო, მიგვეღია. ამას თანავე ვირდგენთ კომიტეტის ბეჭედს.

ყოფილი კომიტეტის თავმჯდომარე
ნიკო ახათიანი.

მუშათა შორის

ჭიათურა. 4 ნოემბერს შესდგა ჭიათურის შავი ქვის მრეწ. საბჭოს მოსამსახურეთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იყო ამხ. სერაფიონ სახარულიძე და მდივნით ამხ. თეოფილე ქალანდაძე. განსარჩევი იყო: 1) მოსამსახურეთა ახალი მოთხოვნილებები და 2) სოფ. ღვიმევის და ზედა რგანის სკოლების გამგეების ბოროტ-მოქმედება.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სიმონ ქარტაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ თუმცა მრეწვ. საბჭო წინააღმდეგი იყო იმ სახით დაეკმაყოფილებია მოსამსახურეები, როგორც იყო წაყენებული მოთხოვნილება, მაგრამ მოსამსახურეთა კავშირის გამგეობამ მაინც შესძლო სამართლიანი მოთხოვნილების გატანა, და მოსამსახურეები დაკმაყოფილებულნი არიან, ხოლოდ მომხსენებელმა დასძინა, რომ მრეწველთა საბჭოს სურს ცვლილება შეიტანოს მოსამსახურეთა დაკმაყოფილებაში პირველ ნოემბრიდან, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ნოემბრიდან მიეცეს ახალი დამატებითი ჯამაგირები ცოლ შვილიანებს და უცოლშვილო უქმროებს კი ნაკლები მიეცეს. „მაგრამ, ამბობს მომხსენებელი, რადგან ეს საკითხი მარტო გამგეობას არ შეეძლო გადაეწყვიტა, ამიტომ გამგეობამ საბჭოსთან შეთანხმებით გადმოიტანა საზოგადო მოსამსახურეთა კრებაზე, რომელმაც უნდა გამოსთქვას თავისი აზრი". ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა მრეწველობის საბჭოს ადგილობრივ სექციის გამგეს ბ-ნ ალ. დარახველიძეს, რომელიც საგნებით იცავს საბჭოს აზრს მოსამსახურეების კატეგორიებად დაყოფის შესახებ. მაგრამ მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ არა თუ მოიწონა ის, პირიქით, მავნებლად იცნო და დაადგინა: რომ ახალი დამატებები ეძლეოდეს როგორც ცოლშვილიანებს, ისე უცოლშვილოებს. იმის შესახებ, თუ რა სახით მიეცეს სალიკვიდაციო ფულები მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან, კრებამ დაადგინა: მათ საბჭო უნდა გაუსწორდეს იმ ჯამაგირით, რომელიც ეძლეოდათ 3 რიგელი ცვლილებამდის. აგრეთვე კრებამ დაადგინა: მოსამსახურეები დაკმაყოფილებულნი იყვნენ შემდეგ ნაირად: 1) მიეცეს დამატებები იმ მასწავლებლებს, რომლებსაც დამატებები სრულიად არ მიუღიათ, 2) დაურიგდეთ მოსამსახურეებს სექტემბრის და ოქტომბრის დამატებები და 3) მიეცეს მოსამსახურეებს სამი თვის დარჩენილი ძველი დამატებები.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე გამგეობის თავმჯდომარე ს. ქარტაძე, რომელიც ამბობს, რომ საგამომძიებლო კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამგეობა, გამოიძია ზემოხსენებულ სკოლების გამგეობის საქმეები, რომ სოფ. ზედა-რგანის სკოლის გამგეს ვანო ჩიმაკაძეს, როგორც გამოძიება ამტკიცებს, ბოროტება არ ჩაუდენია, ხოლო დაუშვია ერთგვარი დაუდევრობა. რაც შეეხება ღვიმევის სკოლის ყოფილ გამგეს—ვანო ბახტაძეს და ღვიმევის სკოლის ახლანდელ გამგეს—მღვ. ამბროსი ჩიჩინაძეს, ამათ კი ჩაუდენიათ ბოროტება, რომელიც გამოიხატება შემდეგში: ისინი დარაჯის ჯამაგირს საბჭოდან სრულად თითონ ღებულობდნენ და ნაწილს თვითონვე იტოვებდნენ და ნაწილს კი დარაჯს აძლევდნენ, სრული ჯამაგირის სახით. მოისმინა რა კრებამ ზემოხსენებულ სასწავლებლების გამგეების მოქმედება, დაადგინა: სოფ. ღვიმევის სკოლის გამგის მღვ. ამბროსი ჩიჩინაძის საქმის გამოძიება დაწვრილებულად ჩაითვალოს, სადაც ბოროტ მოქმედება ნათლად სჩანს. რაც შეეხება იგივე (ვანო) ბახტაძეს, თუმცა მასაც ჩაუდენია ბოროტება, მაგრამ მისი საქმის გამოძიება ჯერაც დაუსრულებელია, რაც გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა და კრებამაც დაადასტურა. ვანო ჩიმაკაძის საქმის შესახებ, რომელიც კრებამ არ სცნო ნათლად გამოძიებულად, დაადგინა: მიენდოს ზემოხსენებულ სკოლების გამგეობას საქმეების ხელმეორედ გამოძიება ქუთაისის სავაჭრო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს — მოსამსახურეთა კავშირის გამგეობასთან ერთად, რომლებმაც სასწრაფოდ უნდა გამოიძიონ ეს საქმე და დასდონ თავისი მსჯავრი და მერე წარუდგინონ მოსამსახურეთა საზოგადო კრებას.

პლ. ოხრობეთელი.

პროვინცია

მეჯვრისხევის რაიონი (გორის მაზრა). ამ უკანასკნელ ხანებში, ძალზე გავრცელდა ინფლუენცია (ისპანკა), რომელიც მუსრს ავლებს მცხოვრებთ, განსაკუთრებით მთაში (ოსებში), გამკითხავი კი არავინ არის. იყვნენ აქ დანიშნული ექიმი ტყემალაძე და ფერშალი ბებურიშვილი საგანგებოდ გადამდებ სენთან საბრძოლველად, რომელნიც ერთგვარ იმედს შეადგენდნენ, მაგრამ თითქოს ავადმყოფობა მოსპობილიყო, საგუბერნიო ექიმის მიერ გაწვეულ იქნენ.

29 ოქტომბერს, ღამით, ს. მეჯვრისხევში ქურდებმა გასტეხეს გ. თაყაძის სამიკიტნო დუქანი და მოიპარეს სხვა და სხვა წვრილმანი, რაც რამ იყო დუქანში. რაიონის მილიციამ პატრონის დახმარებით ქურდების კვალს მიაგნო. აღმოაჩინა ნაქურდალი და ქურდები: პეტრე, იგივე იორდანე და იასონ გენგიურები, რომელნიც დანაშაულობაში გამოტყდნენ. ნაქურდალი პატრონს დაუბრუნდა და დამნაშავენი შესაფერისი ოქმით სათანადო მთავრობას გადეცა.

30 ოქტომბერს, ღამით, წყალობა მესტუმრეს ბაღში, შეიპარა ქურდი ნიკო ხუბულური კომბოსტოს მოსაპარავად. შემთხვევით გზით მიმავალმა ადგილობრივმა ყარაულმა მაქრო ბეგიაშვილმა შეამჩნია და ორჯერ სამჯერ გაფრთხილების შემდეგ ესროლა და დახვრა სასიკვდილოთ.

31 ოქტომბერს, ს. ქვეშში თედო ყაზაშვილმა მოჰკლა რევოლვერით ნინა ჩატუნაშვილისა. მკვლელი მიიმალა. როგორც გადმოგვცემენ, მკვლელობა რომანიულ ნიადაგზეა.

ამას წინათ, საშინელ ქარიან დღეს ს. ბერშუეთს გაუჩნდა ცეცხლი, რომელმაც იმსხვერპლა 28 კომლი. იყო შემთხვევა საქონლის დაწვისაც. გადამწვარებს აღარ გააჩნიათ აღარც საქონლის საზრდო და არც წლის სარჩო, რის გამოც განიცდიან აუტანელ მდგომარეობას. საჭიროა დახმარება გადამწვარეთათვის, ვისგანაც ჯერ არს.

ამ სოფელში „ერთობას" იწერს 31 კაცი, „საქართველოს რესპუბლიკას"—7.

№.

—

ძეგვი (გორის მაზრა) ახალმა ავადმყოფობამ აქაც იჩინა თავი და ბევრიც იმსხვერპლა. ერთ ოჯახიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაბინაშვილები გამოასალმა სიცოცხლეს, მათ დარჩათ ობლები, რომელთა მდგომარეობაც საგალალო იყო, რომ ამ სოფლის ზოგიერთ პირებს დახმარება არ აღმოეჩინათ. სოფლის საზოგადოებამ 1,500 მან. გამოიღო, ანდრიოლეტმა 120 მან., მისმა მუშებმა 290 მანეთი. მადლობის ღირსნი არიან ყველა ეს ზემოხსენებული პირნი, რომელთაც იხსნეს გაჭირვებული მდგომარეობიდან უმწეოთ დარჩენილი ობლები. საჭიროა დახმარება აღმოუჩინოს ამ სოფელს, რათა ეპიდემიამ არ მიიღოს ფართო ხასიათი.

იხაკ მიქელაძე.

—

ფოთი. მომარაგების კომიტეტის ლიკვიდაციის გამო, ქალაქს გადაეცა ადგილობრივ განყოფილების ქონება, რომლის ღირებულება უდრის 200 ათას მან ერთი მესამედი ამ ღირებულებისა ქალაქმა უნდა დაუბრუნოს სალიკვიდაციო კომისიას ფულის სახით.

ნავთსადგურის უფროსათ ინჟ. ჯავახიშვილის მაგივრათ დაინიშნა ინჟინერი დვალიშვილი.

ქალაქის საბჭოს უკანასკნელ დადგენილების თანახმათ, არსდება ქალაქის თვითმართველობასთან შრომის ბირჟა.

მეტათ გახშირდა ამ უკანასკნელ დროს ავათმყოფობა, რაიც ხშირათ სიკვდილით თავდება. სოფლებიდანაც არა სანუგეშო ცნობები მოდის. განსაკუთრებით, გახშირდა ეგრეთ-წოდებული „ისპანკა".

ქალაქის ყველა პირველ დაწყებითი სკოლებში უკვე განხორციელებულია საყოველთაო უფასო სწავლა.

ბათუმის დაცემის შემდეგ, ქალაქს დაუხარჯავს ბათუმის სამხედრო დაწესებულებათა ლიკვიდაციაზე და ევაკუაციაზე 200 ათას მანეთამდე.

— ქალაქს ჩამოართვეს ბევრი მიწები და ტყეები; უკანასკნელ გარემოების გამო ქალაქს შეძლება არა აქვს დაამზადოს შეშა ზამთრისათვის. შეშის კრიზისმა უკვე იჩინა თავი.

№

წერილი რედ. მიმართ

(საზოგადოების საყურადღებოთ)

რევოლიუციის პირველ დღეებში საჭიროთ მიმაჩნდა ჩოხატაურის ყოფილი სახელმწიფო გზის მეთვალყურე ბ. ნესტორ ტალაპაძის მოქმედება გამეცნო საზოგადოებისათვის. მაგრამ ვიფიქრე, ალბათ, ყველამ იცის ეს და რაღა საჭიროათქო.

ბ ტალაპაძე პირველ ხანებში ოზურგეთის სამაზრო გზების კომისარმა ამხ. გ. კოპლატაძემ სამსახურიდან დაითხოვა, რაიც ნებას მაძლევდა მეფიქრა, რომ ტალაპაძის „საქმენი საგმირონი" ყველას სცოდნია მეთქი.

დღეს კი ვტყობილობ, რომ ბ. ტალაპაძეს საზოგადოებიდან და სხვა დაწესებულებებიდან მოწმობები აქვს, რომ ის „კეთილ საიმედოა"...

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ბ. ტალაპაძეს გაუსწორებელი დანაშაული აქვს ჩადენილი, რაიც გამოიხატება იმაში, რომ მისი მეოხებით სრულიად უდანაშაულოთ კატორღაში დაიღუპნენ: 1) ლადიკო ხინთიბიძე, 2) ივანე გობრონიძე, 3) თეოფილე თავდიშვილი (მეც დამაბეზღა მთავრობასთან, მაგრამ ვეღარ დამიჭირეს და კატორღას გადავრჩი, გადასახლებას მაინც ვერ ავშორდი).

ბ. ტალაპაძეს ვიღაცამ უსიამოვნება მიაყენა მდ. ნატანებზე ბოგირის გაკეთების დროს 1907-ში. ის ამ გარემოებამ გააბრაზა და შური იძია უდანაშაულო პირებზე...

მე ვნახული იმ დროში ბ. ტალაპაძე და ვსთხოვე: უდანაშაულო ვართ, ხელს ნუ დაგვადებთ, მან კი მიპასუხა: ვიცი უდანაშაულონი ხართ, მარა თქვენ მაშინ განთავისუფლებთ, როდესაც დამნაშავეს მომიყვანთო...

აქედან ცხადია, რომ ბ. ტალაპაძემ იცოდა რა ზემოთ აღნიშნული პირები დამნაშავენი არ იყვნენ, მაინც უტიფრათ წარსდგა სასამართლოს წინაშე, პირდაპირ ხელი დადო, რის გამოც თვითეულს 16 წლის კატორღა მიუსაჯეს, არც ერთი ამათგანი კატორღიდან აღარ დაბრუნებულა, იქ დაიხოცნენ...

აი ეს არის ბ. ტალაპაძის მოღვაწეობის ისტორია. ამის შემდეგ ასეთ პირს კიდევ უფლება აქვს ილაპარაკოს „მე უდანაშაულო ვარო?" დღეს ეს მკითხველისთვის მიმინდვია ბ. ტალაპაძის მოქმედების დაფასება.

ვასილ ევლიანის ძე თავაძე, 10 ოქტომბერი, 1918 წ. ქ ოზურგეთი.

P. S ეს წერილი დაწერილი მქონდა, როდესაც გავიგე, რომ ტალაპაძე საგუბერნიო გზების მოსამსახურეთა კავშირის მოწმობით სამსახურში დაუბრუნებიათ, რაიც ვერ დამიჯერებია და ვეკითხები მათ: მართალია ეს? არამც თუ მისი სამსახურში მიღება, უფრო საჭირო ყოფილა მუშათა კავშირი, გინდ მისი საზოგადოება პასუხს მოსთხოვდეს ბ. ტალაპაძეს მისი წარსული მოქმედების გამოსარკვევად.

ვ. თ.

ქართული ლატარია

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა მე მისი ჭირისა!

ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!

ვინც უყოყმანოთ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისა,
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზიისას!

ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა მე მისი ჭირისა!

---

*) როგორც იქაურ ზოგიერთმა ამხანაგმა იცის, ჩვენ შეერთებული ორგანიზაციის (მენშევიკ-ბოლშევიკური) ანგარიში ერთმანეთ შორის დღესაც არ გვაქვს სწორებია საჭიროებისამებრ და რადგანაც სასურველი იყო სრული ანგარიში გვქონოდა კიდევ ვცადეთ. მეორე მიზეზი ჩემი ავადმყოფობა იყო.

**) 212 მ. 90 კ. საოლქო კომიტეტმა მიიღო. რედ.

მიხეილის კერძო სამკურნალო.
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ბავშვთა 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და ბავშვთა 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს. მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს საშშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ხელმძღვანელობით.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. მ. ლევინშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია - გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) [illegible], სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606-914 შეშხაპუნები. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი მ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 57; [illegible] შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელ. № 5—77.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და არსეგალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

მედ. ქალი ა. ბ. შიშლო-ხაბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედი[illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და ბავშვებს ხაზებით დარიგებაზ. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო)

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

სახელმწიფო თეატრი
ოპერა
შაბათს, 16 ნოემბერს,
მ. ი. ალეშკოს, ვ. მ. ბეროზინის და ვ. ნ. პოლიაევის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება „სოფლის ღირსება" ოპერა 1 მოქ. მუსიკა მასკანისა.
2.
ო. ა. შულგინის, ტ. ორდას და ა. კანშინის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება „პაიაცი" ოპერა 2 მოქმედებათ მუსიკა ლეონკოვალოს.
ფასები ძლიერ დაწეულია. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ძველი დროით).
ანონსი: კვირას 17 ნოემბერს დილით „ფაუსტი".
„ „ „ საღამოს „[illegible]".

მიხეილის ქ. № 129, „აპოლოს" გვერდით
„რეზინის საძირე"
(ფირმა „ტრეუგოლნიკი").
ვაკრავთ საძირეს, როგორც ახალს ისე ძველს ფეხსაცმელს.
კაცის ფეხსაცმელის საძირე გაკეთებით—20 მანეთი, ქალის—15 მანეთი.
სახელოსნოსთან სწარმოებს აგრეთვე ფეხსაცმლების და კალოშების შეკეთება („პოჩინკა")—24 საათში.

ცენტრალური სასურსათო საბჭო
(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში
მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში
მარილის მიღება შეიძლება ქ თფილისში და ქ. ფოთში. (10—2)

ჩქარმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1